ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## 9 მაისიდან! „ახალი თაობა“ + ფროიდი 8 ლარი




11 — 12 მაისი, 2013 | №110 (6111) | ფასი: 30 თეთრი



# ზაზა ხატიაშვილი: „ივანიშვილმა და უსუფაშვილმა ადვოკატებს დაგვარტყეს!“

4.000 ადვოკატი გაფიცვით იმუქრება

გვ.5

# 17 მაისს თბილისში დიდი ცემა-ტყეპაა მოსალოდნელი

გვ.4

„არ გვინდა ქალაჩუნა ბიჭები და მამალი გოგოები“

## გიორგი ონიანი: „ბაჩო ახალაიასადმი ბრალის წაყენება ნაჩქარევად მოხდა“

გვ.3





გვ.4

## მიხეილ სააკაშვილი: „ის, რომ ხალხს ქუჩაში ხოცავდნენ, ეს იმავე სერიიდანაა, რომ მე ძუძუებს ვაჭამდი“

სტუდენტებმა პრეზიდენტს უსტვინეს



გვ.3

## კირკიტაძემ მთავრობა შეგნებულად შეიყვანა შეცდომაში?!

## მომავალ კვირას მერაბიშვილი სკანდალური განცხადების გაკეთებას აპირებს



გვ.4

ISSN 1987-9385



გვ.5

## „ციხეებში ადამიანის უფლებებისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა გრძელდება“

## 7 მაისიდან! „ახალი თაობა“ + საქართველოს ისტორია 10 ლარი




ლურჯი წითელი ყვითელი შავი

## გიორგი ვაშაძე: „სათვალთვალო კამერები“, როგორც ჩანს, ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების შემადგენელი ნაწილი გახდება“

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელმა ლიდერმა გიორგი ვაშაძემ, გუშინ, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ფარული კამერების შეძენასთან დაკავშირებით პრესკონფერენცია გამართა.

„ძალიან სამწუხაროა, მაგრამ დღევანდელი ხელისუფლება იწყებს ტოტალურ კონტროლს მთელი საქართველოს მაშტაბით. დღეს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოაცხადა ტენდერი სხეულზე დასამაგრებელ 2 900 ფარულ სათვალთვალო კამერაზე, რომელშიც 1 130 000 ლარის დახარჯვას აპირებს.

ეს ნიშნავს იმას, რომ თითოეული მოქალაქის მოქმედება, დღისით და



ღამით გაკონტროლებული იქნება. ეს კამერები გამოიყურება ჩვეულებრივი ღილივით, ამას შგვიძლია „ღარიბაშვილის ღილები“ ვუწოდოთ, რომელიც თითოეულ ჩვენგანს გაგვაკონტროლებს. სამწუხაროა, რომ ხელისუფლებაც ცდილობს ძალიან ბინძური ხერხებით აკონტროლოს ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება და ამისთვის სხვადასხვა საშუალებებს იყენებს.

პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ ფარული კონტროლი, ფარული თვალთვალი არის კანონგარეშე და ფაქტია, ხელისუფლება ღიად აფიქსირებს, რომ მას სურს ამ ყველაფრის განხორციელება. კამერას სხვადასხვა პარამეტრები ექნება, ის არის მინიატურული ზომის, ღამის ხილვადობის საშუალებებით აღჭურვილი და იმართება დისტანციურად. ასეთი რამ, არათუ დემოკრატიულ ქვეყნებში, ყველაზე ავტორიტატულ სახელმწიფოებშიც კი არ ხდება“ — განაცხადა ვაშაძემ.

**ნიუსპრესი**

## შინაგან საქმეთა მინისტრმა ისრაელში ვიზიტი დაასრულა

შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, ისრაელში ოფიციალური ვიზიტის ბოლო დღეს, ისრაელის უშიშროების მინისტრ იცჰაკ აარონოვიჩს შეხვდა. ასევე გაიმართა შეხვედრა ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროში.

შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრებზე მხარეებმა ურთიერთთანამშრომლობის საკითხები და სამომავლო პერსპექტივები განიხილეს. ვიზიტის ფარგლებში, ხელი მოეწერა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ისრაელის სახელმწიფოს საშინაო ფრონტალური დაცვის სამინისტროს შორის, საგანგებო სიტუაციების სფეროში თანამშრომლობის შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმს. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ოფიციალური ვიზიტი ისრაელში დასრულდა.

**ნიუსპრესი**

# ხალიანი დიმიტრი გელოვანი

**როლანდ ხოჯანაშვილი**

„ახალი თაობის“ იმერეთის ბიურო

მომდევნო ორშაბათს დიდი ინტერესით ელოდება საქართველოს მოსახლეობა, რადგან ამ დღეს უკვე „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო დაასახელებს ოფიციალურად თავაის საპრეზიდენტო კანდიდატურას. ალარავისთვის არ არის საიდუმლო, რომ „ქართულ ოცნებაში“ რამდენიმე სახეა, რომელიც მოიაზრება მომავალ პრეზიდენტად. კახი კალაძეს, ვახტანგ ხმალაძეს, ირაკლი ალასანიას, სალომე ზურაბიშვილსა, არმაზ ახვლედიანს და სხვა სახეებს, რომლებსაც ქართველი ელექტორატი ასე თუ ისე იცნობს. ყველას კარგად ახსოვს, რომ ალასანიას დატუქსვა მოჰყვა მის შიდაპარტიულ სამზარეულოში საპრეზიდენტო ამბიციას და ვიცეპრემიერობაც ჩამოერთვა. ამბობენ, რომ მაშინ პრემიერ ივანიშვილს „ცეცხლი შეუნთო“ გარემოცვამ, აქაოდა ალასანიამ „უჩემოდ ვით იმღერეთა“-ს პრინციპი დაარღვიაო. მართალია, ალასანია აკადემიური სიმშვიდით შეხვდა ამ ფაქტს, მაგრამ მან ამით მხოლოდ მოიგო, რადგან პოლემიკა კიდევ უფრო დაძაბავდა სიტუაციას და შესაძლოა, ბოლომდე გაწყვეტილიყო დამაკავშირებელი გაწვრილებული ძაფი მასა და პრემიერს შორის. სოციალურ ქსელებსა და ელექტრონულ მედიაში დასმული შეკითხვა, ვინ იყო ყველაზე სასურველი კანდიდატურა „ქართული ოცნებიდან“, უპირობოდ ლიდერობს ირაკლი ალასანია. მართალია, არანაკლებ პოპულარულია დიპლომატი სალომე ზურაბიშვილიც, მაგრამ ამომრჩევლისათვის ალბათ სქესსა და ასაკსაც დიდი მნიშვნელობა აქვს. გვინდა თუ არა, ქართველების უმეტესობა პატრიარქალური მოსაზრების ვართ და პრეზიდენტად ვამჯობინებთ მამაკაცს. ის კრიტერიუმები, რომლებიც პარლამენტარმა ჩაფიძემ ჩამოთვალა, სოციალურ ქსელებში მხირული განწყობის საფუძველი აღმოჩნდა. „ასეთი მხოლოდ დიმიტრი იყო, გელოვანი და ისიც ნავთის რიგში მოკვდა“,—აცხადებდა ერთი ენამწარე ფეისბუქელი, თუმცა უმეტესობა ამ საკითხზე მსჯელობისას ამბობდა, რომ ქართულ სინამდვილეში ალასანიაზე მისაღები კანდიდატურა არ არსებობს.

თვალი გავადევნოთ ირაკლი ალასანიას ცხოვრების გზას: იგი 1973 წლის 21 დეკემბერს ბათუმში დაიბადა. მუშაობდა გაეროში საქართველოს მუდმივ წარმომადგენლად 2006 წლის ივნისიდან 2008 წლის დეკემბრამდე. 2006 წლის 17 მარტამდე იყო საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი კონფლიქტების მოწესრიგების საკითხებში. ასევე—პრეზიდენტის პირადი წარმომადგენელი ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებებში (ეს სტატუსი მას ასევე შენარჩუნებული ჰქონდა გაეროში ელჩობის პერიოდშიც). 2005 წლის 15 თებერვალს ალასანია დაინიშნა საქართველოს პრეზიდენტის პირად წარმომადგენლად აფხაზეთში. იმავდროულად იყო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე. 2004 წლის 16 ივლისიდან იყო საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე, ხოლო ამ პოზიციის დაკავებამდე იყო თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე.

შედარებით არასასიამოვნოდ ჟღერს ირაკლი ალასანიას უფრო ადრინდელი კარიერული კოლაჟი: 2002 წლის იანვრიდან ის იყო სახელმწიფო უშიშროების მინისტრის პირველი მოადგილე, მანამდე 2001 წლის ოქტომბრიდან ხელმძღვანელობდა სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტს. მან საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობა დაიწყო 1998 წლიდან, სადაც 2001 წლის სექტემბრამდე იკავებდა სხვადასხვა თანამდებობებს, მათ შორის მუშაობდა დსთ-სა და რუსეთის დეპარტამენტში და აშშ-ს, კანადასა და მექსიკაში საქართველოს საელჩოში.

საერთაშორისო სამართლის სპეციალისტ ალასანიას შევარდნაძისა და სააკაშვილის ჩინოვნიკობის იარლიყით მისი ოპონენტები მოიხსენებენ, რაც, თავისთავად ცხადია, მის დისკრედიტაციას ემსახურება.

როგორც ჩანს, თავად ალასანიაც არის გარკვეული ნაწილობრივ, რამდენად დაუჭერს მას მხარს „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო. მან დავით პაიჭაძესთან, საზოგადოებრივ მაუწყებელში განაცხადა: „საპრეზიდენტო კანდიდატების შერჩევის სერიალების ბოლო სერია ნანახი მაქვს. დაახლოებით ვიცი, ვინ შეიძლება დასახელდეს საბოლოო კანდიდატად და ვის აქვს შანსი, რომ შედგეს მის ირგვლივ კონსენსუსი.“

ქართველების გაოცება რამდენჯერმე შეძლო პრემიერმა ივანიშვილმა, მათ შორის პირველი და ყველაზე გრანდიოზული მისი პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლა იყო. შესაძლოა, მან პოლიტიკურ საბჭოსთან ფორმალური საუბრისას „შეარჩიოს“ ის სახე, რომელსაც არავინ ელოდება.

თუ ალასანიას დასახელება არ მოხდა, შესაძლოა მისი პოლიტიკური ამბიცია შემოიფარგლოს თავდაცვის მინისტრის პორტფელით, თუმცა პრეზიდენტობის მსურველთა ამალაში ის პიონერი გახლდათ არა მარტო „ოცნებელებიდან“, არამედ სხვა დანარჩენი სპექტრიდანაც. ბუნებრივია, რომ ირაკლი ალასანიას ჩრდილში ჩაყენება ქართული პოლიტიკური ელიტისათვის არ იქნება კოლორიტული და გამართლებული, რადგან მას იცნობენ, როგორც გაწონასწორებულ ლიდერს. სოციალურ ქსელებში ხუმრობდნენ კიდეც, „ხალიანა“ არც ტრაილერს შეასკდება და მით უფრო—შარვალმიწუწული სუ-



რათებს არ დაალაგებინებს ოფიციალურ გვერდზეო.

ნაკლებად სავარაუდოა, რომ „ქოცების“ წინააღმდეგ წავიდეს ირაკლი ალასანია, რადგან „ქართული ოცნების“ მიერ დასახელებული ნებისმიერი კანდიდატურა იქნება გამარჯვებული შემოდგომაზე გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებზე. ამჟამინდელი თავდაცვის მინისტრობა ბევრად უფრო მასშტაბური და მისაღებია მისთვის, ვიდრე „ პოლიტიკური უძღები შვილის“ სტატუსი. თუ ირაკლი წავა „ოცნების“ საწინააღმდეგოდ, ის, როგორც პოლიტიკური ფიგურა და კანდიდატი, გაკოტრდება.

წერილის ფინალში მინდა უცვლელად შემოგთავაზოთ ერთი ადამიანის მოსაზრება: "...ელისო ჩაფიძის ინფორმაციით, "ქართული ოცნება" პრეზიდენტის პოსტზე ხუთზე მეტ კანდიდატურას განიხილავს..."ელისო,"ოცნებას" თუ უნდა 25 კანდიდატურა განიხილოს, მაგრამ იმ ერთს, ვისაც მე "გთავაზობთ", ვერავინ შეედრება. შეხედავ - გესიამოვნება. მოუსმენ - დაგამშვიდებს. წარსული და ოჯახიშვილობა მაგას რომ აქვს, ისეთი უნდა... ახლა ცოლშვილს არ იკითხავთ?! დიპლომატიურ სარბიელზე - მხეცი, ბრძოლაში - ლომი... მოკლედ, თვით დიმიტრი გელოვანსაც კი შეშურდებოდა მისი...

ეხლა არ მკითხოთ, ვის გულისხმობ, თორემ გავგიჟდები!

და მაინც, არ დაგვავიწყდეს, დღეს პოლიტიკურ ამინდს ვერც ჩაფიძე ქმნის და ვერც სხვა აქტიური თუ ნაკლებადაქტიური პოლიტიკოსი. მთავარი მაინც პრემიერია, რომელსაც შალვა ნათელაშვილი საპრეზიდენტო მარათონში იწვევს.

## ბანაკ „პალდო“-ში რეკრუტების ფიცის დადების ცერემონიალი გაიმართა

საქართველოს შეიარაღებულ ძალებს 188 სამხედრო მოსამსახურე შეემატა. რეკრუტების ფიცის დადების ცერემონიალი გუშინ, საველე-საწვრთნელ ბანაკ „პალდო“-ს სამწყობრო მოედანზე გაიმართა.

თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, რეკრუტებმა საწყისი საბრძოლო მომზადების კურსი უკვე დაასრულეს. კურსზე 257 ადამიანი ჩაირიცხა, თუმცა პროგრამის წარმატებით დაძლევა 188 რეკრუტმა შეძლო. წვრთნები 11 მარტს დაიწყო და 9 კვირის განმავლობაში გაგრძელდა. მომავალ სამხედროებს მეცადინეობები საცეცხლე, სამწყობრო და ტაქტიკურ მომზადებაში, ასევე სამხედრო ტოპოგრაფიასა და პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენაში ჩაუტარდათ.

დღეიდან, საწყისი საბრძოლო მომზადების კურსდამთავრებულები სამხედრო ქვედანაყოფებში გადანაწილდებიან და საკონტრაქტო სამხედრო სამსახურს გააგრძელებენ.

**ნიუსპრესი**

## ინტერპოლის მიერ საერთაშორისო ძებნაში მყოფი პირი დააკავეს

თბილისის აეროპორტში, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის თბილისი-სტამბულის მიმართულებით კვეთის დროს, სამართალდამცველებმა ვისბადენის ინტერპოლის მიერ საერთაშორისო ძებნაში მყოფი, მოქალაქეობის არმქონე, ეროვნებით ლატვიელი, 1963 წელს დაბადებული იგორ გოიჩევი დააკავა. გოიჩევი საერთაშორისო ძებნილად 2013 წლის 25 თებერვალს გამოცხადდა, რა დროსაც ის საქართველოში იმყოფებოდა და მიღებული ჰქონდა საქართველოში მუდმივი ბინადრობის უფლება. მას ბრალად გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 146-ე, 242-ე, 244-ე, 25-ე და 52-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა ედება, რაც

ფულის გაყალბებას, ქურდობას და ძარცვას გულისხმობს. აღნიშნული დანაშაულები 15 წლით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. ამჟამად გოიჩევი შსს-ს თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის დროებითი მოთავსების იზოლატორშია მოთავსებული და მის მიმართ წინა საექსტრადიციო პროცედურები მიმდინარეობს.

**მედიანიუსი**

## სამეთვალყურეო კამერების შეძენასთან დაკავშირებით შსს განცხადებას ავრცელებს

შინაგან საქმეთა სამინისტრო, სამეთვალყურეო კამერების შეძენაზე გამოცხადებულ ტენდერთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.

„სამინისტრომ 2 900 ცალი, უნიფორმაზე სატარებელი სამეთვალყურეო ვიდეოკამერის შეძენის შესახებ ტენდერი 7 მაისს გამოაცხადა. აღნიშნული ვიდეოკამერები გათვალისწინებულია საპატრულო ეკიპაჟებისა და პატრულ-ინსპექტორებისათვის საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

ვიდეოკამერების შეძენის ტენდერი ღიად და გამჭვირვალედ ტარდება. პატრულ-ინსპექტორების კამერებით აღჭურვის შესახებ საზოგადოებას წინასწარ ეცნობება, ხოლო მედიისთვის პრეზენტაცია ჩატარდება.

ვიდეოკამერები გამოიყენება საპატრულო პოლიციის მუშაობის მონიტორინგისათვის, ადამიანის უფლებების დაცვის საიმედოობის ამაღლებისათვის, ობიექტური ჭეშმარიტების დადგენისათვის, კონკრეტულ შემთხვევაში პატრულის მიერ მიღებული გადაწყვეტილების სისწორის შეფასებისთვის. კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, ვიდეოკამერების გამოყენებისას, მოქალაქე დაუყოვნებლივ იქნება გაფრთხილებული პატრულ-ინსპექტორის მიერ. მუშაობის ეს მეთოდი წლების განმავლობაში აპრობირებულია აშშ-ში, დიდი ბრიტანეთსა და ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში.

აღნიშნული სიახლე ხარისხობრივად ახალ დონეზე აიყვანს მოქალაქისა და პატრულის ურთიერთობას, ვინაიდან კამერების ჩანაწერების გამოყენება შესაძლებელი იქნება ორივე მხარისათვის საკუთარი სიმართლის დასამტკიცებლად“— ნათქვამია განცხადებაში.

**ნიუსპრესი**

## განსაკუთრებით დიდი ოდენობით „ჰეროინი“-ს შენახვის ფაქტზე ერთი პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის აჭარის სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე,ბათუმში, 1981 წელს დაბადებული დავით ჯ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვის ფაქტზე დააკავეს. სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას 2 შეკვრად დაფასოებული „ჰეროინი“-ს შემცველი ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს. ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ნარკოტიკის საერთო წონა 6,26 გრამია, მასში შემავალი „ჰეროინი“-ს კი – 2,217 გრ. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“

ქვეპუნქტით, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერების შეძენა-შენახვა – მიმდინარეობს.

**მედიანიუსი**

## პოლიციამ ნარკოდანაშაულში ეჭვმიტანილი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს დიდუბე -ჩუღურეთის სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, ნარკოდანაშაულისთვის, 1989 წელს დაბადებული ალექსანდრე შ., ცოტნე დადიანის ქუჩაზე, საქართველოს ფოსტის ფილიალის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას 3,864 გრ „ბუპრენორფინი“ და 0,1166 გრ „კოკაინი“ ამოიღეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ ალექსანდრე შ-ს საფრანგეთიდან ამანათით ფეხსაცმელი გამოუგზავნეს, რომელშიც ნარკოტიკები იყო დამალული. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

**მედიანიუსი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# კირკიტაძემ მთავრობა შეგნებულად შეიყვანა შეცდომაში?!

ნათია ხურცილავა

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ გუშინ სპეციალური პრესკონფერენცია გამართა.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო რუსთავი-თბილისის ავტომაგისტრალის მშენებლობაზე ქვემო ქართლის გუბერნატორის დავით კირკიტაძის ინტერესებზე საუბრობს.

მის შესახებ რეგიონული განვითარების მინისტრის მოადგილემ შოთა მურღულიამ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

— საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო წარმო-



გიდგენთ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 20 ოქტომბრის განკარგულებას, რომლითაც ცვლილება შევიდა მთავრობის 2009 წლის 18 თებერვლის განკარგულებაში და თბილისი-წითელი ხიდის საავტომობილო გზის თბილისი-რუსთავის მონაკვეთზე ე.წ. ბუფერული ზონა მოიხსნა, რითაც ამ ტერიტორიაზე სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების გასხვისება შესაძლებელი გახდა. აღნიშნული განკარგულების პროექტის ავტორი გახლდათ ქვემო ქართლის გუბერნია, რომელსაც დავით კირკიტაძე ხელმძღვანელობს. სწორედ მისი ინიციატივით წარედგინა მაშინდელ მთავრობას განკარგულების პროექტი. განმარტებით ბარათში მითითებულია: „დღეის მდგომარეობით თბილისი-წითელი ხიდის საავტომობილო გზის თბილისი-რუსთავის მონაკვეთზე სარეკონსტრუქციო სამუშაოებზე დამტკიცებულია პროექტი და გამოვლენილია სამუშაოების მწარმოებელი ორგანიზაცია, რომელიც უკვე ახორციელებს მშენებლობას. ამავდროულად, რეგიონში არის ინვესტორების მოთხოვნილება გზის მიმდებარედ მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებაზე... გამომდინარე ზემოთქმულიდან, განკარგულების იმ ნაწილში, რომელიც ეხება თბილისი-წითელი ხიდის საავტომობილო გზის თბილისი-რუსთავის მონაკვეთზე მიმდინარე სამუშაოებს, ვინაიდან მიღებულია გადაწყვეტილება მოდერნიზებული საავტომობილო გზის მშენებლობაზე, შეტანილი უნდა იქნას შესაბამისი ცვლილებები, — აცხადებს მურღულია. მიზეზი, რომელსაც განმარტებით ბარათში კირკიტაძე ასახელებს, არის სიცრუე — თბილისი-რუსთავის ავტომაგისტრალის მშენებლობა იმ პერიოდში არათუ დაწყებული არ ყოფილა, ოფიციალურად ტენდერში გამარჯვებულ კომპანიასთან, რომელსაც შემდგომში ავტომაგისტრალის მშენებლობა უნდა დაეწყო, ხელშეკრულებაც არ იყო გაფორმებული. როგორც ჩანს, კირკიტაძემ ან შეგნებულად შეიყვანა შეცდომაში მთავრობა, ან ეს წინა მთავრობის მორიგი აფიორა იყო. მნიშვნელოვანია, რომ განკარგულება საქართველოს მთავრობამ სწორედ 2012 წლის 20 ოქტომბერს მიიღო, ანუ მაშინ, როდესაც 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ პარლამენტის პირველი სხდომა უნდა გამართულიყო, სადაც ახალი პარლამენტის უფლებამოსილების ცნობა მოხდებოდა, რის შემდეგაც ახალი მთავრობა დამტკიცდებოდა. რა გახდა ასე ნაჩქარევად განკარგულების მიღების მიზეზი, ამას, სავარაუდოდ, სამართალდამცავი ორგანოები დაადგენენ, — აღნიშნავენ სამინისტროში.

— ბოლო პერიოდში წინა ხელისუფლების წარმომადგენლები, განსაკუთრებით კი ქვემო ქართლის გუბერნატორი კირკიტაძე ხშირად გვსაყვედურობს, რომ რუსთავი-თბილისის ავტომაგისტრალის მშენებლობა ახალმა მთავრობამ შეაჩერა. მშენებლობა, რომელიც არც დაწყებულა, ბუნებრივია, ვერც შეჩერდებოდა. კატეგორიულად ვაცხადებთ, რომ 2012 წლის 15 აგვისტოს პრეზიდენტის მონაწილეობით, თბილისი-რუსთავის ავტომაგისტრალზე დადგმული ფარსი წინა ხელისუფლების დიდი სპექტაკლის ერთი პატარა ნაწილი იყო. რაც შეეხება კირკიტაძის პერმანენტულ თავდასხმებს, ეჭვი გვაქვს, რომ მისი განსაკუთრებული ინტერესი სწორედ ამ განკარგულებიდან და გასხვისებული სახელმწიფო ქონებიდან გამომდინარეობს და არა რუსთაველებზე ზრუნვის დაუოკებელი სურვილიდან, — განაცხადა მურღულიამ და დასძინა, რომ საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტრო აღნიშნულ მასალებს პროკურატურას უგზავნის და გამოძიების შედეგებს დაელოდება.

როგორც მურღულიამ აღნიშნა, სამინისტრომ აზიის განვითარების ბანკისგან მიიღო წერილი, რომელშიც ნათქვამია, რომ ბანკი მზადაა, თბილისი-რუსთავის მაგისტრალის მშენებლობა ახალი მთავრობის იმ პირობის მიხედვით დააფინანსოს, რომლის თანახმად, სამუშაოებზე ადგილობრივები დასაქმდებიან.

შოთა მურღულიას თქმით, ავტომაგისტრალის მშენებლობაზე ტენდერი მაისში გამოცხადდება.

როგორც სამინისტროში პრესკონფერენციაზე ითქვა, 2012 წლის 20 ოქტომბერს, საქართველოს წინა მთავრობამ თავისი მუშაობის ბოლო დღეს, ცვლილებები შეიტანა 2009 წლის 18 თებერვლის განკარგულებაში. ახალი განკარგულების მიხედვით, თბილისი-წითელი ხიდის საავტომობილო გზის თბილისი-რუსთავის მონაკვეთზე ე.წ. ბუფერული ზონა მოიხსნა, რითაც შესაძლებელი გახდა ამ ტერიტორიაზე სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების გასხვისება.

სამინისტროს ცნობით, აღნიშნული განკარგულების პროექტის ავტორი იყო ქვემო ქართლის გუბერნია, რომელსაც დავით კირკიტაძე ხელმძღვანელობს. სწორედ მისი ინიციატივით წარედგინა მაშინდელ მთავრობას განკარგულების პროექტი.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან გამოითხოვა ინფორმაცია, მოხდა თუ არა 2012 წლის 20 ოქტომბრიდან 27 აპრილამდე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ფართობის გასხვისება აღნიშნულ ტერიტორიაზე.

— საჯარო რეესტრიდან მიღებული პასუხით დგინდება, რომ 2012 წლის 24 ოქტომბერს, ანუ მთავრობის განკარგულების მიღებიდან ოთხ დღეში, 8057 კვ.მ მიწა გადაეცა მოქალაქე ჯორჯ გვიმრაძეს. ხოლო 2012 წლის 27 დეკემბერს აღნიშნული ნაკვეთი ჯორჯ გვიმრაძემ აჩუქა მოქალაქე გურამ გვიმრაძეს. ვინ არიან აღნიშნული პირები, აქვთ თუ არა კავშირი ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ან ქვემო ქართლის გუბერნატორთან, რატომ მოხდა ასე სასწრაფოდ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის გასხვისება, ყოველივე ამას მოკვლევა დაადგენს, — აცხადებს მურღულია.

მათივე ცნობით, კირკიტაძის განმარტებით, ბარათში მითითებულია შემდეგი: „დღეის მდგომარეობით თბილისი-წითელი ხიდის საავტომობილო გზის თბილისი-რუსთავის მონაკვეთზე სარეკონსტრუქციო სამუშაოებზე დამტკიცებულია პროექტი და გამოვლენილია სამუშაოების მწარმოებელი ორგანიზაცია, რომელიც უკვე ახორციელებს მშენებლობას. ამავდროულად, რეგიონში არის ინვესტორების მოთხოვნილება გზის მიმდებარედ მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებაზე. გამომდინარე ზემოთქმულიდან, განკარგულების იმ ნაწილში, რომელიც ეხება თბილისი-წითელი ხიდის საავტომობილო გზის თბილისი-რუსთავის მონაკვეთზე მიმდინარე სამუშაოებს, ვინაიდან მიღებულია გადაწყვეტილება მოდერნიზებული საავტომობილო გზის მშენებლობაზე, შეტანილ უნდა იქნას შესაბამისი ცვლილებები.“

თუმცა, სამინისტროს ცნობით, მიზეზი, რომელსაც განმარტებით ბარათში კირკიტაძე ასახელებს, არის სიცრუე, რადგან თბილისი-რუსთავის ავტომაგისტრალის მშენებლობა იმ პერიოდში არათუ დაწყებული არ ყოფილა, ოფიციალურად ტენდერში გამარჯვებულ კომპანიასთან, რომელსაც შემდგომში ავტომაგისტრალის მშენებლობა უნდა დაეწყო, ხელშეკრულებაც არ იყო გაფორმებული.

— როგორც ჩანს, კირკიტაძემ ან შეგნებულად შეიყვანა შეცდომაში მთავრობა, ან ეს წინა მთავრობის მორიგი აფიორა იყო, — აცხადებს ინფრასტრუქტურის სამინისტრო და აღნიშნავს, რომ ბოლო პერიოდში წინა ხელისუფლების წარმომადგენლები, განსაკუთრებით კი ქვემო ქართლის გუბერნატორი კირკიტაძე, ხშირად საყვედურობს სამინისტროს, რომ რუსთავი-თბილისის ავტომაგისტრალის მშენებლობა ახალმა მთავრობამ შეაჩერა.

— მშენებლობა, რომელიც არც დაწყებულა, ბუნებრივია, ვერც შეჩერდებოდა. კატეგორიულად ვაცხადებთ, რომ 2012 წლის 15 აგვისტოს პრეზიდენტის მონაწილეობით თბილისი-რუსთავის ავტომაგისტრალზე დადგმული ფარსი წინა ხელისუფლების დიდი სპექტაკლის ერთი პატარა ნაწილი იყო, — აღნიშნულია სამინისტროს განცხადებაში.

რაც შეეხება კირკიტაძის უკმაყოფილებას, სამინისტროში ეჭვობენ, რომ მისი განსაკუთრებული ინტერესი სწორედ ამ განკარგულებიდან და გასხვისებული სახელმწიფო ქონებიდან გამომდინარეობს და არა რუსთაველებზე ზრუნვის დაუოკებელი სურვილიდან.

საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტრო აღნიშნულ მასალებს პროკურატურას უგზავნის და გამოძიების შედეგებს დაელოდება.

# გიორგი ონიანი: „ბაჩო ახალაიასადმი ბრალის წაყენება ნაჩქარევად მოხდა“

ნათია ხურცილავა

თბილისის საქალაქო სასამართლოში თავდაცვის ყოფილი მინისტრის ბაჩო ახალაიასა და მასთან ერთად ბრალდებულების სასამართლო პროცესი გუშინ განახლდა.

ბაჩო ახალაიასთან ერთად აღნიშნულ პროცესზე ბრალდებულების გიორგი კალანდაძის, ალექსანდრე გორგაძის, ზურაბ შამათავას, მერაბ კიკაბიძის, მანუჩარ დარასელიასა და გიორგი კინწურაშვილის საქმეები განიხილება, თუმცა მათგან დარასელია და კინწურაშვილი მიმალვაში არიან და, შესაბამისად, პროცესს არ ესწრებიან.

გუშინ გამართულ სასამართლო პროცესზე 5 მოწმის, მათ შორის, 3 დაზარალებულის დაკითხვა მოხდა.

გუშინ სასამართლო პროცესზე განხილული იქნა ახალიას თავდაცვის მინისტრობის პერიოდის ეპიზოდი. საქმე ეხება, სამხედრო მოსამსახურეებისთვის სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების, თავისუფლების აღკვეთის ეპიზოდებსა და ზვიად აბესაძესთან დაკავშირებულ ეპიზოდს, როდესაც მას, პროკურატურის ინფორმაციით, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს და თავისუფლება აღუკვეთეს.

საქალაქო სასამართლოში ბრალდების მხარემ გუშინ ხუთი მოწმე მოიყვანა და სწორედ მათი დაკითხვა მოხდა. ხუთი მოწმიდან სამი დაზარალებულია.

პროკურატურამ გუშინ პროცესზე განსახილველ ეპიზოდთან დაკავშირებით ხუთი დასაკითხი პირი წარუდგინა სასამართლოს. როგორც პროკურორმა პროცესის დაწყებამდე განაცხადა, ხუთი მოწმიდან სამი დაზარალებულია.

— დაკითხულია ამ ეტაპზე 22 დაზარალებული და მოწმე. კიდევ ხუთი დაზარალებული და მოწმე დაიკითხება. როგორც თქვენთვის ცნობილია, საქმის განხილვა სხვადასხვა ეპიზოდებს ეხება და სწორედ სხვადასხვა ეპიზოდებიდან გამომდინარე მოგვყავს მოწმეები. ხუთი მოწმიდან სამი დაზარალებულია, — განაცხადა პროკურორმა ირაკლი ნადარეიშვილმა.

ადვოკატ მალხაზ ველიჯანაშვილის განცხადებით, დასაკითხია მოწმეები. ამ ეტაპისთვის არც ერთი ეპიზოდის განხილვა დასრულებული არ არის.

— არც ერთი ეპიზოდის განხილვა არ დასრულებულა. როგორც აბესაძის, ასევე სხვა მოწმეებისა თუ დაზარალებულების ეპიზოდები განსახილველია. დარჩენილი არის სხვა მოწმეები. აბესაძის ეპიზოდთან დაკავშირებით დასაკითხია რესტორნის პერსონალი, რომლებიც იმ დროს იქ იყვნენ. კიდევ დასაკითხია სხვა უამრავი მოწმე. ასევე ბრალდებულები არიან დასაკითხი. ყველა იმ ეპიზოდზე არის დასაკითხი, რომელზეც ბრალი ედება. ჯერ არც ერთი ეპიზოდის განხილვა დასრულებული არ არის, — განაცხადა ბაჩო ახალიას ადვოკატმა მალხაზ ველიჯანაშვილმა.



უფლებადამცველმა გიორგი ონიანმა პროცესის დაწყებამდე პროკურატურა ერთ-ერთი სისხლის სამართლის საქმის შეგნებულად გაჭიანურებაში დაადანაშაულა.

გიორგი ონიანის ინფორმაციით, საქმე ეხება სასჯელაღსრულების სამინისტროში ბაჩო ახალიას მუშაობის პერიოდს, კონკრეტულად კი ციხის ბუნტის საქმეს.

ონიანი აცხადებს, რომ რამდენიმე თვის წინ ახალიას ბრალი აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით ნაჩქარევად წაუყენეს.

— პროკურატურამ ორი თვით მოითხოვა ვადის გაგრძელება და სასამართლომ მხოლოდ ერთი თვით გაუგრძელა და მისცა მითითება, რომ ამ ერთ თვეში დაასრულოს გამოძიება. რა თქმა უნდა, პროკურატურამ ეს ვერ მოახერხა, რადგან არანაირი მტკიცებულება ამ საქმეზე არ არსებობს, რომ ბუნტი რაღაც სახით პროვოცირებული იყო. მიუხედავად ამისა, კიდევ ორი თვით ითხოვს პროკურატურა ვადის გაგრძელებას. ეს კი პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ ბრალის წაყენება ბაჩო ახალაიასადმი ნაჩქარევად მოხდა ყოველგვარი მტკიცებულებების გარეშე, — აცხადებს ადვოკატი გიორგი ონიანი.



# ნოდარ ხადურმა თურქეთში ორმხრივი შეხვედრები გამართა

საქართველოს ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური, სტამბოლში, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის დირექტორთა საბჭოს ყოველწლიურ შეხვედრასა და ბიზნეს ფორუმში მონაწილეობს.

ვიზიტის მიმდინარეობისას, ფინანსთა მინისტრი ასევე შეხვდა ნავთობის

ექსპორტიორ ქვეყანათა ორგანიზაციის საერთაშორისო განვითარების ფონდის წარმომადგენლებს. ფინანსთა მინისტრმა დელეგაციის წევრებს საქართველოს ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკა, ქვეყანაში არსებული ბიზნეს და საინვესტიციო გარემო გააცნო.

**ნიუსპრესი**

# სამსახურებრივი პრივილეგიის არასწორად გამოყენებისთვის სასჯელაღსრულების სამინისტროს მაღალჩინოსანი გაათავისუფლეს

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის სამსახურეობრივი შემოწმების საფუძველზე, სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის მოადგილე ნათია გურული სამსახურიდან გათავისუფლდა.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, სამსახურეობრივი შემოწმებით გაირკვა, რომ ნათია გურული 2012 წლის 1 დეკემბრიდან 2013 წლის 14 იანვრამდე იმყოფებოდა შვებულებაში და პირადი საქმის გამო გასული იყო საქართველოს საზღვრებს გარეთ. ამასთან საზღვარგარეთ მოგზაურობისას ნათია გურული სარგებლობდა სამსახურეობრივი პასპორტით. სამსახურებრივი პასპორტით სარგებლობისას კი პირზე მოქმედებს სავიზო რეჟიმთან დაკავშირებული შეღავათები და სხვა პრივილეგიები. ამიტომ დაუშვებელია მისი გამოყენება არასამსახურებრივი მიზნებისთვის ხელმძღვანელობის ინფორმირების გარეშე.

„ამდენად, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის მოადგილემ ნათია გურულმა აღნიშნული ქმედებით ჩაიდინა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 78 მუხლის „გ“ პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა, რაც გამოიხატა მის მიერ სამსახურებრივი პრივილეგიის არასამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენებაში, რითაც ასევე უგულვებელყო „საქართველოს სამსახურებრივი სარგებლობის პასპორტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის №941 ბრძანებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნები“ - ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში.

**ნიუსპრესი**

# პრემიერ-მინისტრი ჟურნალისტებთან მორიგ შეხვედრას გამართავს

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი, მედიის წარმომადგენლებთან მორიგ შეხვედრას სამშაბათს, 14 მაისს გამართავს. პრემიერის პრესსამსახურმა, პრესკონფერენციაზე დამსწრე მედიის წარმომადგენლების შესახებ მონაცემების მიღება უკვე დაიწყო. რეგისტრაცია 12 მაისს, 18 საათზე დასრულდება.

შეგახსენებთ, რომ პრემიერ-მინისტრის რანგში, ეს ბიძინა ივანიშვილის მიერ მედიასთან, რიგით მეოთხე შეხვედრაა.



**ნიუსპრესი**

# 17 მაისს თბილისში დიდი ცემა-ტყეპაა მოსალოდნელი

## „არ გვინდა ქალაჩუნა ბიჭები და მამალი გოგოები“

შორენა მარსაგიშვილი

**ერთ კვირაში რუსთაველის გამზირი დიდი დაპირისპირების არენად გადაიქცევა. ამ გამზირის არც აქციები უკვირს და არც მათ ჩასატარებლად გაცემული სანქციები, მაგრამ მსგავსი აქამდე არაფერი მომხდარა. პარლამენტის ძველი შენობის წინ სექსუალური უმცირესობების აქცია ჯერ არ ჩატარებულა.**

თბილისისთვის ასეთი აქცია უცხო არ გახლავთ. მსგავსი ღონისძიება გასულ წელსაც ჩატარდა და ის ცემა-ტყეპით დასრულდა. სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლებს სასულიერო პირებმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა არ მისცეს აქციის დასრულების საშუალება. აქციის მონაწილეები ჩიოდნენ, რომ მათ დასაცავად პოლიციას არაფერი გაუკეთებია.

პოლიციელები მაშინ მართლაც შორიდან ადევნებდნენ მოვლენებს თვალყურს და გაურკვეველი მიმართულებით იგინებოდნენ.

პოლიცია ამჯერადაც ყურადღების ცენტრში იქნება. აქციამდე ერთი კვირით ადრე ირაკლი ღარიბაშვილის უწყება ორ ცეცხლშუა მოექცა. ერთნი მას აქციის მონაწილეების უსაფრთხოების დაცვისკენ მოუწოდებენ, მეორენი კი ამბობენ, რომ ვაი იმ პოლიციას, რომელიც სექსუალურ უმცირესობებს აქციას ჩაატარებინებს.

რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ უკვე განაცხადა, რომ უმცირესობების წარმომადგენლებს აქციას არ ჩაატარებინებენ.

მოსალოდნელ საფრთხეებზე გუშინ ორგანიზაცია „იდენტობამ“ სასტუმრო „რედისონში“ პრესკონფერენცია გამართა. პრესკონფერენცია დილის ათ საათზე გაიმართა. იმ დროისთვის სასტუმროსთან რამდენიმე ათეული პოლიციელი იყო უკვე მობილიზებული. სამართალდამცაეებს „იდენტობა“ სხვა ჯგუფისგან უნდა დაეცვა. ამ ჯგუფის წევრებმა „იდენტობის“ პრესკონფერენციის პარალელურად „რედისონთან“ აქცია გამართეს.

გუშინ ათამდე მოქალაქემ 17 მაისს ჰომოფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებული აქცია გააპროტესტა. აქცია 11.00 საათზე დაიწყო, მას შემდეგ, რაც სასტუმრო „რედისონში“ „იდენტობის“ ბრიფინგი დასრულდა. აქციის მონაწილეები აპროტესტებდნენ თავად გუშინდელ ბრიფინგსაც. მიაჩნიათ, რომ ისინი პროპაგანდას გარყვნილებას უწევენ.

აქციის მონაწილეები აპროტესტებენ 17 მაისს რუსთაველზე დაგეგმილ აქციასაც. მათი თქმით, რეალურად ეს აქცია ჰომოფობიის წინააღმდეგ არ არის მიმართული, არამედ ისინი აპირებენ გეი-აღლუმის ჩატარებას რუსთაველზე, იქ, სადაც ქართველების სისხლია დაღვრილი.

– ჩვენ არ გვსურს ქვეყანაში ქალაჩუნა ბიჭები და მამალი გოგონები, – აცხადებდნენ აქციის მონაწილეები.

მათივე თქმით, ისინი რამდენიმე დღეში გამართავენ ბრიფინგს და 17 მაისის აქციასთან დაკავშირებით თავიანთ სამომავლო გეგმას საზოგადოებას გააცნობენ.

როგორც ისინი აცხადებენ, მშვიდობიანი ფორმით აპირებენ „იდენტობის“ ღონისძიება გააპროტესტონ და არ აპირებენ ცემა-ტყეპას, რადგან ეს წისქვილზე დაასხამს წყალს.

17 მაისს ქართველ პატრიოტთა არასამთავრობო ორგანიზაცია „ეროვნული ფრონტი“ თბილისში, საქართველოს პარლამენტის ყოფილი შენობის წინ არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობის“ მიერ დაგეგმილი აქციის პარალელურად, მის საწინააღმდეგო აქციას გამართავს. ამის შესახებ „ეროვნული ფრონტის“ საგანგებო განცხადებაშია ნათქვამი, რომელსაც „ახალი თაობა“ უცვლელად გთავაზობთ:

– სამწუხაროდ, დღეს მსოფლიოს ეკონომიკურად დაწინაურებულ ქვეყნებში აქტიურად აკანონებენ სოდომ-გომორულ ცოდვას და ცხოვრების წესს, სახავენ რა მის სხვადასხვა გამოვლინებას ბუნებრივ და მისაღებ წესად და მოითხოვენ ამ წესის არა მხოლოდ შემწყნარებლობას, არამედ აღიარებას, პროპაგანდას და ფართოდ დამკვიდრებას. მეტიც, მთელ რიგ ქვეყნებში ერთსქესიანთა ქორწინება კანონმდებლობით იქნა დაშვებული, მიუხედავად მოსახლეობის ფართომასშტაბიანი პროტესტისა. „ეროვნული ფრონტი“ თვლის, რომ გლობალისტური ეკონომიკური კლანების მიერ ნასაზრდოები და დაფინანსებული ე.წ. ლგბტ (ლესბოსელების-გეების-ბისექსუალების-ტრანსსექსუალების) მოძრაობა ანტიჰუმანურ და ანტიქრისტიანულ მიზნებს ემსახურება და ბუნებისა და ღვთის მიერ დადგენილი კანონების წინააღმდეგაა მიმართული. მაშინ, როდესაც გრანტებს მოწყურებული და დახარბებული ათასი ჯურის არასამთავრობო ორგანიზაცია ე.წ. სექსუალურ უმცირესობათა უფლების დაცვაზე ზრუნავს. მათ ავიწყდებათ, რომ სწორედ ისინი ემსახურებიან ანტიჰუმანურ, ანტიადამიანურ და ღვთისსაგმობ მიზნებს. ნაცვლად იმისა, რომ ცოდვაში ჩავარდნილ და გზასაცდენილ ადამიანებს სწორ გზაზე შემობრუნებასა და გარყვნილების ჭაობიდან თავდაღწევაში დაეხმარონ, პირიქით, ისინი ახალისებენ და ხელს უწყობენ ამ ადამიანების სულიერ კვდომას და ცდილობენ ხელი მოითბონ ამ ადამიანების უბედურებაზე. „ეროვნული ფრონტი“ დაუშვებლად მიიჩნევს ამ ცოდვის და გარყვნილების პროპაგანდას, ტირაჟირებას, რეკლამირებას. მიგვაჩნია, რომ მსგავსი საქმიანობა წარმოადგენს ეროვნული უსაფრთხოების საკითხს, რადგან საფრთხე ექმნება ქართველთა მომავალი თაობის ღირსეულად აღზრდას, ქრისტიანულ და ქართულ ეროვნულ ფასეულობებზე დაფუძნებული საზოგადოების მშენებლობას. აქედან გამომდინარე, მივმართავთ საქართველოს ხელისუფლებას, აიკრძალოს სექსუალურ უკუღმართობათა პროპაგანდა, ტირაჟირება, რეკლამირება! ქართველი ადამიანი ვერასოდეს შეურიგდება წინაპართა სისხლით მორწყულ მიწაზე ჰომოსექსუალიზმის და სხვა სექსუალურ უკუღმართობათა დაკანონებას, ვერ შეურიგდება, თუნდაც ევროპის კავშირში გაწევრიანების სანაცვლოდ!!! ქართველი ადამიანის დამოუკიდებლობისთვის და ეროვნული თავისუფლებისთვის ბრძოლა ყოველთვის ეფუძნებოდა ქართული და ქრისტიანული სახელმწიფოს მშენებლობის იდეას და არა ფსევდო-დემოკრატიისა და ფსევდო-ლიბერალური ღირებულებების ნიღაბქვეშ მოქმედი გლობალისტური ფინანსურ-ეკონომიკური კლანების ინტერესებს. ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე „ეროვნული ფრონტი“ მოუწოდებს ქართველ საზოგადოებას, 17 მაისს, დილის 9 საათიდან შევიკრიბოთ რუსთაველის გამზირზე, საქართველოს პარლამენტის ყოფილი შენობის წინ და ერთად მოვითხოვოთ აიკრძალოს სექსუალურ უკუღმართობათა პროპაგანდა, – ნათქვამია განცხადებაში.

„იდენტობის“ წევრები კი სამართალდამცავებს აქციის დაცვისკენ მოუწოდებენ. მათი განცხადებით, საქართველოში ლგბტ პირების უფლებები ირღვევა. „იდენტობის“ წარმომადგენლებმა გუშინ თეა წულუკიანის განცხადებაზე ისაუბრეს.

იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა 17 მაისს ჰომოფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღეს დაანონსებულ აქციასთან დაკავშირებით კომენტარი დავით პაიჭაძის გადაცემა „დიალოგებში“ გააკეთა.

წულუკიანის თქმით, ჩვენი საზოგადოების უმრავლესობა იზიარებს შეხედულებას, რომ ძალადობა მეორე ადამიანზე არის მიუღებელი. რაც შეეხება შეკრებას, შეკრების თავისუფლება აქვს ყველას თუკი ისინი არ არღვევენ კანონს, არ მოუწოდებენ ძალადობისა და შუღლისკენ და ა.შ. მიუხედავად იმისა, როგორი მრწამსის და როგორი სექსუალური ორიენტაციისაა ადამიანი. იუსტიციის მინისტრის თქმით, ეს ადამიანები გამოდიან, რათა თქვან „გამარჯობა, ჩვენ ვარსებობთ,“ რადგან ისინი ხშირად ხდებიან ძალადობის მსხვერპლები, მათ შორის, თავიანთი მშობლების მხრიდანაც.

– არ შეიძლება ცივილიზებული ადამიანები ერთმანეთს უჭვრიტინებდნენ, ვის ვისთან სძინავს, – აღნიშნა მინისტრმა.

გუშინ გაიხსენეს აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშიც. საუბარია მსოფლიოში ადამიანთა უფლებების დაცვის შესახებ ყოველწლიურ ანგარიშზე. ანგარიშის ერთ-ერთი ნაწილი მთლიანად ეთმობა სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის მოტივით დისკრიმინაციის და ძალადობის ფაქტებს, რომელიც 2012 წელს საქართველოში მოხდა.

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში აღნიშნულია, რომ საქართველოში არ არსებობს ანტიდისკრიმინაციული კანონი, თუმცა ასევე ნათქვამია, რომ კონსტიტუცია უზრუნველყოფს თანაბარ პირობებს კანონის წინაშე და ანტიდისკრიმინაციული მიდგომები ხაზგასმულია სხვადასხვა კანონსა თუ რეგულაციებში. ასევე გამოყოფილია 2012 წლის 27 მარტს პარლამენტის მიერ სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი შესწორება, რომლის მიხედვითაც რასის, რელიგიური და სექსუალური ორიენტაციის მოტივი დამამძიმებელ გარემოებად ითვლება ყველა დანაშაულისთვის.

– სოციალური განწყობები ლგბტ პირების წინააღმდეგ ძლიერი იყო. ეკლესია მკაცრად გმობს ერთსქესიანი ადამიანების სექსუალურ კავშირს. ცოტაა ორგანიზაციები, რომლებიც ლგბტ პირების უფლებების დასაცავად ღიად მუშაობენ, რადგან ლგბტ პირების მიმართ ფართო უარყოფითი სოციალური სტიგმა არსებობს. პრობლემები, რომლებიც არსებობს, უკავშირდება პოლიციისგან ცუდ მოპყრობას, ძალადობას ოჯახში და ფიზიკურ და ვერბალურ შეურაცხყოფას საზოგადოებისგან. არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობის“ თანახმად, რომელიც ლგბტ პირების უფლებებს იცავს, დისკრიმინაციისა და ძალადობისგან დაზარალებული პირები თავს არიდებენ, ინციდენტების შესახებ განეცხადებინათ პოლიციაში, რადგან სექსუალური ორიენტაციის გამხელა არ სურდათ ოჯახის წევრებისა და პოლიციელთა ჰომოფობიური რეაქციების გამო, – ნათქვამია ანგარიშში.

საზოგადოების ერთ ნაწილს არაფერში აინტერესებს აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის დასკვნა. ისინი ამბობენ, რომ 17 მაისს თბილისში გეი-აღლუმის ჩატარებას არ დაუშვებენ.

17 მაისამდე დიდი დრო აღარ დარჩა. ვნახოთ, რითი დასრულდება რუსთაველზე გამართული შეკრება.

# მომავალ კვირას მერაბიშვილი სკანდალური განცხადების გაკეთებას აპირებს

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოს ყოფილი შს მინისტრი ვანო მერაბიშვილი ძალიან აქტიური გახდა. მეორე კვირაა სოფლის მეურნეობის სამინისტროში არსებულ ვითარებაზე ხმაურობს. მომავალ კვირას ის, სავარაუდოდ, შინაგან საქმეთა სამინისტროს დაარტყამს. ნამინისტრალი აღშფოთებულია იმის გამო, რომ კონფლიქტის ზონებიდან საქართველოს მოქალაქეების გატაცებამ მასობრივი ხასიათი მიიღო.

ვანო მერაბიშვილი ოკუპირებული ტერიტორიების საზღვრებთან საქართველოს მოქალაქეების ბოლო დროს გახშირებულ გატაცებებს მოქმედი ხელისუფლების „დიდ შეცდომას“ უკავშირებს. ამ საკითხზე იგი მომავალ კვირას საგანგებო განცხადების გაკეთებას გეგმავს.



– ამასთან დაკავშირებით ჩვენ ძალიან სერიოზული და საგანგაშო ინფორმაცია გვინდა მოგაწოდოთ, ამჟამად მისი გადამოწმება მიმდინარეობს და არ გვინდა, წინასწარი განცხადებები ვაკეთოთ. ამ მიმართულებით მოქმედმა ხელისუფლებამ ძალიან დიდი შეცდომა დაუშვა, რაც არ გაგვიკეთებია არც ჩვენ 9 წლის განმავლობაში და თვით შევარდნაძის მთავრობის დროსაც კი არ ხდებოდა მსგავსი რამეები. რა მოხდა ბოლო თვეებში, რატომ ხდება გახშირებულად საქართველოს მოქალაქეების გატაცება და შემდეგ მათი საჯაროდ გათავისუფლება, ამის შესახებ ჩვენ საგანგებო განცხადებებს მომავალ კვირას გავაკეთებთ, – განუცხადა ჟურნალისტებს ვანო მერაბიშვილმა.

ადამიანების გატაცებები მართლაც გახშირდა. თუმცა ასეთი რამეები მისი მინისტრობის დროსაც ხდებოდა. მაშინ ადამიანებს საკმაოდ ხშირად იტაცებდნენ კონფლიქტის ზონებიდან.

და როცა ამ თემებზე ისაუბრებს მერაბიშვილი, არ უნდა დაავიწყდეს, მისი ზონდერები განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების ადამიანებს როგორ იტაცებდნენ. სასიკვდილოდ ნაცემებს ხან სად ტოვებდნენ და ხან სად. ადრე თუ გვიან, მერაბიშვილს ამ თემებზე აუცილებლად მოუწევს პასუხების გაცემა. ამჯერად კი მისგან მოვისმენთ იმას, რა შეცდომებს უშვებს ხელისუფლება.

# მიხეილ სააკაშვილი: „ის, რომ ხალხს ქუჩაში ხოცავდნენ, ეს იმავე სერიიდანაა, რომ მე ძუძუებს ვაჭამდი“

## სტუდენტებმა პრეზიდენტს უსტვინეს

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გუშინ სტუდენტებს შეხვდა. სტუდენტებისა და სააკაშვილის შეხვედრა დაძაბულად წარიმართა. სტუდენტების ნაწილმა შეხვედრა პროტესტის ნიშნად დატოვა. უნივერსიტეტთან ყოფილი პოლიტპატიმრებიც შეიკრიბნენ. ისინი სააკაშვილის მისამართით შეურაცხმყოფელ განცხადებებს აკეთებდნენ.

„ლაბორატორია 1918“-ის წევრის სანდრო ცაგარელის განცხადებით, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან გამართულ შეხვედრაზე ძირითადი აქცენტი იმაზე გააკეთა, რომ ამ ქვეყანაში ყველაფერი უკან მიდის.

– ჩემი აზრით, კითხვები ლოიალობის მიხედვით იყო შედგენილი. სულ ორი რეალური შეკითხვა დაისვა, რომელიც ციხის ამბებს და განათლების სისტემას ეხებოდა. მიხეილ სააკაშვილმა პასუხად განაცხადა, რომ ციხეებში ახლაც რთული მდგომარეობაა და წინა ხელისუფლების პერიოდისგან განსხვავებით, პატიმრებზე ზეწოლა ახლაც მიმდინარეობს, თუმცა სხვა ფორმით. ჩვენ სტუდენტებს კი, რომლებმაც შეხვედრა ხმაურით დავტოვეთ, ჩეგევარას სტილის ადამიანები გვიწოდა; ჩეგევარას კი, თავის მხრივ – პირსისხლიანი ნაბიჭვარი, – განაცხადა ცაგარელმა.

მისივე თქმით, პრეზიდენტი ყველა თემაზე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ჭრილში საუბრობდა და აქცენტს ამ საკითხზე აკეთებდა.

რაც შეეხება იმ სტუდენტებს, ვინც პრეზიდენტთან შეხვედრას დაესწრო, მათი თქმით, საუბარი შეეხო სოციალურ საკითხებს, ასევე განათლების თემატიკას და შიდა და საგარეო პოლიტიკურ ნაწილს. სტუდენტების ნაწილი პრეზიდენტთან შეხვერას დადებითად აფასებს და აცხადებს, რომ მიხეილ სააკაშვილმა მათ კითხვებს ამომწურავად უპასუხა, მეორე ნაწილი ამ მოსაზრებას არ იზიარებს და ამბობს, რომ მიხეილ სააკაშვილმა კითხვებს ზედაპირული პასუხები გასცა.

სააკაშვილმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსი შეძახილების ფონზე დატოვა. უნივერსიტეტის ეზოში მთელი შეხვედრის განმავლობაში შეკრებილი იყო სტუდენტთა ერთი ნაწილი, რომლებიც მეგაფონების საშუალებით აწვდენდნენ პრეზიდენტს ხმას.

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, ბრალდება, რომ ხალხს ქუჩაში ხოცავდნენ, იგივეა, თითქოს ის ძუძუებს აჭამდა. შეხვედრის აუდიო და ვიდეო კადრები ინტერნეტ-სივრცეში გავრცელდა და მას ტელეკომპანია „იმედი“ ავრცელებს.

– მე ძალიან კარგად მესმის ეს მეთოდოლოგიაც და ეს მექანიკაც, თავადაც გამომიყენებია. მე ძველი რევოლუციონერი ვარ, როგორ შეიძლება, სასტვენის სტვენით შემაშინონ?! აი, ეს, რომ ხალხს ქუჩაში ხოცავდნენ, იმავე სერიიდანაა, მე რომ ძუძუებს ვაჭამდი. სად ხოცავდნენ ხალხს ქუჩაში ჩემი მთავრობის დროს? 37 რჩეული ვაჟკაცი მოგვიკლესო, ვინ რჩეული ვაჟკაცი, ვაზაგაშვილი? ვაზაგაშვილს ორი ავტომატი ჰქონდა ვიღაცეების დასახოცად მიდიოდა, მაგრამ ეს იშვიათზე იშვიათი შემთხვევაა, – განაცხადა სააკაშვილმა.

პრეზიდენტმა თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტი მის მიმართ აგრესიულად განწყობილი აქტივისტების შეძახილების ფონზე დატოვა. მიხეილ სააკაშვილი აქციის მონაწილეებს ხელის აწევით მიესალმა.

– მიშა, შენ ხარ ნაძირალა, მკვლელი მიშა, – ეს შეძახილები ისმოდა პრეზიდენტის უნივერსიტეტიდან გამოსვლის დროს.

– მოგესალმებით..., – უპასუხა მიხეილ სააკაშვილმა აქციის მონაწილეებს.

დღეს სააკაშვილი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან აპირებს შეხვედრას. პრეზიდენტის გუშინდელ განცხადებებს კი უკვე მოჰყვა დიდი გამოხმაურება.

# „ციხეებში ადამიანის უფლებებისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა გრძელდება“

შორენა კოწოწაშვილი

**საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საქართველოში პოლიტიკური ხელისუფლების შეცვლის შემდგომ სასჯელაღსრულების სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ დაწესებულებებში ჯერაც გრძელდება ღირსების შემლახველი მოპყრობა და „დამნაშავეებისთვის" ნარკოტიკის ჩადების მცდელობა. შეიძლება, ეს განცხადება ვინმეს ხმამაღალ ნათქვამადაც მოეჩვენოს, მაგრამ სხვას ვერაფერს ვიტყვით იმ ფაქტზე, რასაც სასჯელაღსრულების მე-16 დაწესებულებაში ჰქონდა ადგილი.**

რაც შეეხება ნარკოტიკის ჩადების მცდელობას, როგორც დაწესებულების ყოფილი თანამშრომელი აცხადებს, ადმინისტრაციის თანამშრომლების ცდილობდნენ, მისთვის გინეკოლოგიური ჩხრეკა ჩაეტარებინათ და ამ გზით მისთვის სხეულში ის თეთრი პაკეტი ჩაედოთ, რომელიც მან ერთ-ერთ თანამშრომელს ხელში დაუნახა.

მაინც რა ხდება სოზარ სუბარის უწყებაში და რატომ საუბრობს ადვოკატი ჯუმბერ მილორავა მინისტრ სუბარის მხრიდან კანონდარღვევასა და უფლებამოსილების გადამეტებაზე, ამასთან, მისი მხრიდან სასამართლოს მისამართით გაკეთებულ გარკვეულ მითითებაზე? – ამ საკითხების გარკვევას იმ ოფიციალური დოკუმენტაციიდან ვცდილობთ, რომელიც არა მხოლოდ მთავარ პროკურორსა და სახალხო დამცველს, არამედ საერთაშორისო ორგანიზაციებსაც გადაეგზავნათ.

– სასჯელაღსრულების დაწესებულებებში გრძელდება ადამიანის უფლებებისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა და ამაზე საეჭვოდ დუმს სასჯელაღსრულების მინისტრი სოზარ სუბარი, – აცხადებს ადვოკატი ჯუმბერ მილორავა და ამ საკმაოდ სერიოზული ბრალდების დასადასტურებლად ის კონკრეტული ფაქტი მოჰყავს, რომელსაც 13 აპრილს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მე-16 დაწესებულებაში ჰქონდა ადგილი ციხის საექიმო სამედიცინო პუნქტის ექთან ციალა კაშიას მიმართ.

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, ორი კვირის მანძილზე მედია აქტიურად აშუქებს სასჯელაღსრულების მე-16 დაწესებულებაში მომხდარ ფაქტს, რომლის ოფიციალური ვერსიითაც ექთან ციალა კაშიას დაწესებულების ტერიტორიაზე შეჰქონდა აკრძალული ნივთი – მობილური ტელეფონი და რამდენიმე სიმბარათი. მინისტრი დარწმუნებულია, რომ მისმა თანამშრომლებმა დანაშაული აღკვეთეს და რომ კაშიას ტელეფონი და სიმბარათები, სავარაუდოდ, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოთავსებული რომელიმე პირისთვის გადასაცემად სჭირდებოდა.

რაც შეეხება თავად ბრალდებულ ციალა კაშიას, რომლის მიმართაც თბილისის საქალაქო სასამართლოს აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა არ გამოიყენა და პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას სააპელაციო სასამართლოც დაეთანხმა, სასჯელაღსრულების მე-16 დაწესებულების ახლა უკვე ყოფილი ექთანი აცხადებს, რომ მის მიმართ ადგილი ჰქონდა ღირსების შემლახველ მოპყრობას და რომ მას სამსახურში მისვლისას ისიც კი არ აცალეს, რომ სათანადოდ წარედგინა პირადი ნივთები და ჩხრეკა ისე ჩაუტარეს, ტელეფონი კი, როცა ფეხსაცმელი გაახდევინეს და დაიხარა, შარვლის უკანა ჯიბიდან ამოუვარდა.



ციალა კაშია დარწმუნებულია, რომ მის მიმართ სასჯელაღსრულების დაწესებულების იმ თანამშრომლების მხრიდან იყო გამიზნული ანგარიშსწორება, რომლებიც ძველი, ე.წ. ნაციონალების კადრები არიან და რომლებსაც, სავარაუდოდ, არაერთი ადამიანის მიმართ აქვთ ჩადენილი ღირსების შემლახველი მოპყრობა.

ციალა კაშიას ინტერესების დამცველის, ადვოკატ ჯუმბერ მილორავას თქმით, მისი დაცვის ქვეშ მყოფის მიმართ არა მხოლოდ ადგილობრივი კანონმდებლობა დაირღვა, არამედ ევროპულიც.

– ბრალდება არა მხოლოდ სუსტია, არამედ ტენდენციურიც. ბრალდების მხარემ ვერ წარმოადგინა კონკრეტული მტკიცებულება, რომლითაც ციალა კაშიას მიერ ჩადენილი დანაშაული დასტურდება. მე გადმომეცა დისკი, რომელიც ცარიელი იყო. ფაქტობრივად, ცარიელი დისკის ჩაბარებაზე მომაწერინეს ხელი და მითხრეს, რომ ის საჯარო არ გამხდარიყო. შემდეგი კი მოვითხოვე და გადმომეცა სრული ვიდეოჩანაწერი, რომელიც კაშიას შემოწმება-ჩხრეკას ასახავს. ამ ვიდეოს დათვალიერების შემდეგ უამრავი დარღვევა აღმოვაჩინეთ, რომელსაც ბრალდებულ კაშიას მიმართ ჰქონდა ადგილი. კერძოდ, მის მიმართ ადგილი ჰქონდა როგორც ფსიქოლოგიური, ასევე ფსიქიკური და ფიზიკური ზეწოლის ფაქტებს. ასევე მის მიმართ ადგილი ჰქონდა იძულებას, კონტროლიორების თინათინ თანიაშვილის, ლალი კობეშავიძისა და ქეთევან რამაზაშვილის მხრიდან მომხდარიყო ბრალდებულის გინეკოლოგიური შემოწმება. ვიდეოში კარგად ჩანს, თუ როგორ იკეთებს ხელზე კონტროლიორი ქეთევან რამაზაშვილი გაურკვეველი წარმომავლობის ხელთათმანს და ცდილობს ბრალდებულის გინეკოლოგიურ შემოწმებას, რისი უფლებაც მას არ ჰქონდა. ფირზე ჩანს, რომ ამ დროს ამცირებენ და ღირსების შემლახველ მდგომარეობაში აყენებენ ციალა კაშიას, რაც არის ბრალდებულის კონსტიტუციური მე-17 მუხლის მეორე ნაწილისა და ევროკონვენციის მე-3 მუხლების დარღვევა, – აცხადებს ადვოკატი ჯუმბერ მილორავა, რომელმაც ამ ყველაფრის თაობაზე საქმის კურსში ჩააყენა მთავარი პროკურორი არჩილ კბილაშვილი და საქართველოში ევროსაბჭოს ოფისის ხელმძღვანელი კატერინა ბოლონიეზე.

ადვოკატის ინფორმაციით, საქმის მასალებში ბრალდების მხარეს არ წარმოუდგენია არანაირი დოკუმენტი და საბუთი, ჰქონდა თუ არა რომელიმეს ზემოთ დასახელებული ქალბატონებიდან ექთან ციალა კაშიას გინეკოლოგიური შემოწმების უფლება, თანაც ჩანაწერში ცხადად ჩანს, რომ „დანაშაულებრივ“ საგანზე – მობილურ ტელეფონზე, ჩხრეკისას არანაირი აქცენტირება არ კეთდება.

როგორც თავად ბრალდებული ციალა კაშია აცხადებს, მის მიმართ ადგილი ჰქონდა ღირსების შემლახველ მოპყრობას, თუმცა, ამის მიუხედავად, მას კონტროლიორებისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევია, რაზეც თავის კომენტარში მინისტრმა სოზარ სუბარმა ისაუბრა.

**ციალა (ციცი) კაშია:**

– არ მინდა, ასეთი საშინელება კიდევ ვინმეს დაემართოს. ამიტომ გადავწყვიტე, რაც მე დამემართა, საჯაროდ მეჩვენებინა. ჩხრეკის დროს გამაშიშვლეს და რომ დაინახეს, არაფერი მქონდა, დეტექტორი უკულმა დაიჭირეს და ცდილობდნენ, როგორმე აეწრიპინებინათ. დავინახე, როგორ წაიღო ხელთათმნიანი ხელი ჯიბისკენ და როგორ ამოიღო თეთრი ქაღალდის პაკეტი. მე ბოლომდე ვიბრძოლებ საკუთარი სიმართლისა და უდანაშაულობის დასამტკიცებლად. მინისტრმა სოზარ სუბარმა უკანონოდ გამათავისუფლა და, ვინც მართლა კანონი დაარღვია ჩემთან მიმართებით, ის დღესაც თანამდებობაზე რჩება. ყოველთვის მქონდა განცდა, რომ მითვალთვალებდნენ, ვიღაც დამყვებოდა. იმ დღესაც, სანამ სამსახურში მივიდოდი და ჩხრეკას ჩამიტარებდნენ, ორი პირი მომყვებოდა. სიცოცხლის ფასად რომ დამიჯდეს ნაციონალების წინააღმდეგ ბრძოლა, ამას არ შევწყვეტ. ვიცი, ეს არის პოლიტიკური ნიშნით დევნა და, დარწმუნებული ვარ, ეს მოდის დავით სალაღაიასგან, რომელიც არის ვანო მერაბიშვილის მეუღლის – თაკო სალაყაიას ბიძაშვილი. დავით სალაღაიამ სულ სამი თვე იმუშავა სასწრაფო სამედიცინო დახმარების ფინანსურ დირექტორად და მე და ჩემმა მეგობრებმა მისი მხრიდან 1,5 მლნ ლარის ფინანსური გარღვევა გამოვააშკარავეთ. რადგან სალაღაიამ იცოდა, რომ სასწრაფოში მუშაობის პარალელურად ციხის სამედიცინო ნაწილშიც ვმუშაობდი, ასე იძია შური. მან ერთხელ თქვა, რომ სასჯელაღსრულებაში ბევრი მაღალჩინოსანი მეგობარი ჰყავდა და, ვფიქრობ, რაც მოხდა, ეს სწორედ სალაღაიასგან მოდიოდა. მე და ჩემმა მეგობრებმა გამოვარკვიეთ, რომ სალაღაია ნაციონალების მიერ „ქართულ ოცნებაში“ ჩანერგილი კადრი იყო. ის ოცნების ბორჯომის ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა, მანამდე კი კუდის თანამშრომელი, ე.წ. ზონდერი იყო.

# ზაზა ხატიაშვილი: „ივანიშვილმა და უსუფაშვილმა ადვოკატებს დაგვარტყეს!“

## 4.000 ადვოკატი გაფიცვით იმუქრება

შორენა კოწოწაშვილი

**ადვოკატთა ასოციაციის ხელმძღვანელი ზაზა ხატიაშვილი პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით ქვეყანაში მიმდინარე სამართლიანობის აღდგენის პროცესს ბლეფს უწოდებს. ხატიაშვილი ვერ აკონკრეტებს, რატომ მოხდა ისე, რომ დღეს გისოსებს მიღმა მხოლოდ ბაჩო ახალაიაა და დანარჩენებს ბრალდება ჯერ ვერ დაუმტკიცეს. ხატიაშვილის აზრით, ეს უფრო შეთანხმებაა, ანდა პროკურატურის სისუსტე.**

– ივანიშვილის ხელისუფლებას პირველ და სერიოზულ დარტყმას ადვოკატები მიაყენებენ. მე პირველად დავარტყი სააკაშვილს, როცა მოვითხოვე მისი პერსონა ნონგრატად ცნობა. დღეს მე მაქვს საფუძველი, მოვითხოვო პერსონა ნონგრატად ცნობა ვახტანგ ხმალაძის და დავით უსუფაშვილის. მათზე უკვე დადასტურებული მტკიცებულებები მაქვს, ქურდულად რომ შეიტანეს კანონში ცვლილებები. მტკიცებულებებს სხვებზეც ვქმნი. სამართლიანობის აღდგენის პროცესში ადვოკატთა ასოციაციის ხელმძღვანელი მოითხოვს იმ ადამიანების გასამართლებას, რომლებიც ხელს უწყობენ არასამართლიანი გარემოს შექმნას საკანონმდებლო დონეზე. მეგონა რაღაც შეიცვლებოდა, მაგრამ არაფერი შეცვლილა. საშინელებები ხდება ამ ქვეყანაში, მე არ გავჩუმდები. სანამ ცოცხალი ვარ, ვერავინ გამაჩუმებს იმაზე, რომ სამოქალაქო საზოგადოებას დაარტყან. ამაზე არ გავჩუმდები. ეს არის გამორიცხული, – აცხადებს ზაზა ხატიაშვილი.



რა დანაშაული ჩაიდინა პარლამენტმა, ვინ მართავს დღეს პროკურატურას, არჩილ კბილაშვილი თუ რესპუბლიკელი ლაშა ნაცვლიშვილი და რატომ ემზადება ადვოკატთა კორპუსი გაფიცვისთვის? ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს ადვოკატთა ასოციაციის ხელმძღვანელ ზაზა ხატიაშვილთან.

***– ბატონო ზაზა, ხელისუფლება სამართლიანობის აღდგენის პროცესში არაერთ საკანონმდებლო ცვლილებას ახორციელებს. რა ხდება ადვოკატის ინსტიტუტის გაძლიერების კუთხით?***

– ჟურნალ „ადვოკატის“ პრეზენტაციაზე გამოვიდა დავით უსუფაშვილი და ბრძანა, რომ პარლამენტი ხელს უწყობს ადვოკატის ინსტიტუტის ინსტიტუციონალურ განვითარებას. ეს ასე არ არის. ამჯერად მე მასთან პოლემიკაში არ შევედი. მინდა გითხრათ, რომ ძალიან დიდი სიბინძურე ჩაიდინა ახალმა პარლამენტმა ადვოკატთა კორპუსთან მიმართებაში. ერთადერთი, დეპუტატ ეკა ბესელიას აღმოაჩნდა ღირსება, რომ ეთქვა, ამის გაკეთება არ შეიძლებაო. საქართველოს მთავრობამ, იუსტიციის სამინისტრომ, იცით, რომ ვალდებულება აიღო, როდესაც ევროპის ადვოკატთა ასოციაცია ჩამოვიდა საქართველოში, რომ ადვოკატის და პროკურორის როლი გათანაბრდებოდა. შევიდა საკანონმდებლო ინიციატივით და პირველი მოსმენით ეს პარლამენტმა მიიღო. მეორე მოსმენის დროს ქურდულად დავით უსუფაშვილმა, ვახტანგ ხმალაძემ და ლაშა ნაცვლიშვილმა, რომელიც არის გენერალური პროკურორის მოადგილე, ამ ტრიომ ქურდულად ადვოკატისთვის შუამდგომლობის დაყენების უფლება სასამართლოში ამოღებასა და ჩხრეკაზე გააუქმეს, ანუ ჩვენ ამის უფლება წაგვართვეს. ეს გადაიტანეს 2014 წლის სექტემბერში, თუმცა თუ ასე გააგრძელა, არა მგონია იქამდე ეს ხელისუფლება დარჩეს. ფაქტობრივად, ადვოკატთა ასოციაცია ჰაერში დაგვტოვეს. ამის შემდეგ პარლამენტის თავმჯდომარეს ღია წერილი მივწერე. არ მიპასუხა. შემდეგ პრემიერ-მინისტრს მივწერე, იმანაც არ მიპასუხა. ანუ სააკაშვილის რეჟიმი რასაც აკეთებდა, იმას აკეთებს დღევანდელი პარლამენტიც. ამ კანონში იყო ასეთი ცვლილებაც, რომ ადვოკატს უფლება ჰქონდა საჯარო დაწესებულებიდან ინფორმაცია გამოეთხოვა. ეს ცვლილებაც პირველი მოსმენით მიიღეს, მეორე მოსმენისას სად გააქრეს, ვერ ვიპოვე. ეს არის სამარცხვინო ნაბიჯი ადვოკატებთან მიმართებაში.

***– ანუ იმას ამბობთ, რომ ახალი ხელისუფლების პირობებში ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით ნაბიჯები უკან გადაიდგა?***

– კი, ეს არის ძალიან ცუდი. ანუ რასაც ეს ხელისუფლება ამბობდა, ასე არ არის. ამათ ერთადერთი გენიოსი ჰყავთ – თეა წულუკიანი, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებისთვის იბრძვის, მაგრამ თეა წულუკიანი შედის პარლამენტში წინადადებით და ადვოკატის და პროკურორის უფლებების გათანაბრებას ითხოვს, მაგრამ პარლამენტი ამას ბლოკავს. ერთადერთი კომიტეტი, ვინ ამას მხარი არ დაუჭირა, იყო ბესელიას კომიტეტი. როდესაც მე ამ თემაზე ხმაური ავტეხე, ეტყობა, მეცხრე არხში მიიღეს დავალება, რომ პარლამენტის ეს ნაბიჯი გაემართლებინათ. ტელევიზიის სტუმრებმა ლია მუხაშავრიამ, ეკა ბესელიამ და ახალგაზრდა იურისტების წარმომადგენლებმა მხარი დაგვიჭირეს და თქვეს, რომ ადვოკატთა ინსტიტუტს არასწორად მოექცნენ. ძალიან მწყინს, რომ სხვა ადვოკატებიდან, რომლებიც დღეს ხელისუფლებაში არიან, ეკა ბესელიას გარდა, არავინ არ იცის, რა დღეში იყო ადვოკატთა ასოციაცია. ეკამ არც როდის არ დაკარგა ღირსება, ის ყოველთვის იქ იდგა, სადაც ღირსება იყო. ახლაც ადვოკატთა ინტერესების დასაცავად იდგა, ველოდები სხვა ადვოკატებისგანაც მსგავს ნაბიჯს. ისინიც ასე უნდა მოიქცნენ. ადვოკატთა ასოციაციისათვის ბრძოლას ლამისაა შევეწირე, ეს სამი წელია. სააკაშვილის რეჟიმის პირობებში გადავარჩინე ეს ასოციაცია. ახლა დავიწყე მე შეხვედრა ადვოკატებთან, ვგეგმავ, ადვოკატთა კორპუსი გავიფიცოთ. არ მოხდება, რომ კორპუსი პროცესებზე გავუშვა. ეს იქნება უპრეცედენტო გაფიცვა. გუშინ ვიყავი თელავში და ადვოკატებს შევხვდი. მომავალ კვირას რუსთავში მივდივარ, შემდეგ კი ბათუმში. ყველა ადვოკატს გავაგებინებ, რომ პარლამენტმა ჩაიდინა სამარცხვინო ნაბიჯი. „ბიძინავიზიას“ უნდოდა გაემართლებინა პარლამენტის არასწორი გადაწყვეტილება, მაგრამ რადგან ჟურნალისტმა ეკა ბერიძემ ვერ გაამართლა, ბოლოს თქვა: არჩილ კბილაშვილს მოვიწვევ და იმას გავაკეთებინებ კომენტარს ამ საკითხზეო. რასაც სააკაშვილის რეჟიმი მიკეთებდა და ტელევიზიებში მბლოკავდა, ეს დღესაც გრძელდება. ფაქტობრივად ხელისუფლებაში მოსულმა ჩვენმა ადვოკატებმა დაგვბლოკეს.

***– ანუ ყოფილმა ადვოკატებმა თავის კოლეგებს უღალატეს?***

– ასე გამოვიდა. ერთადერთი ეკა ბესელია აღმოჩნდა პარლამენტში, რომელმაც თქვა, რომ ეს არ შეიძლება. თავიდან პროკურატურამ, ანუ ლაშა ნაცვლიშვილმა დაგვიბლოკა ეს საკანონმდებლო ცვლილება ვახტანგ ხმალაძის და დავით უსუფაშვილის დახმარებით. ახლა დავით უსუფაშვილი გამოდის და გვატყუებს, ადვოკატებს მხარი უნდა დაგიჭიროთო. ერთხელ დაგვჭირდა მაგის მხარდაჭერა და არ დაგვიჭირა. მეტი რაში უნდა დაგვჭირდეს პარლამენტის თავმჯდომარის მხარდაჭე-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# კახა კუკავა: „საქართველოს პრეზიდენტი აუცილებლად უნდა იყოს ქართველი“

შორენა გონგლაძე

საქართველოში ხელისუფლების შეცვლას ყოველთვის ბევრი გადასაწყვეტი საკითხი თუ თავსატეხი ახლავს. პირველი ოქტომბრის არჩევნებამდე როცა ხალხს ეგონა, რომ კოალიციის გამარჯვების შემთხვევაში ქვეყანაში ცხოვრება იეღოველების ბროშურებზე დახატული სურათებივით აიწყობოდა, სადაც ლომი და კაცი ერთად ძოვს ქორფა ბალახს, აღმოჩნდა, რომ საქმე მთლად ასე მარტივადაც არ ყოფილა. არჩევნების შემდეგ, ძირითადი თანამდებობების დანაწილების გარდა, პირველი სერიოზული თავსატეხი, რომელიც ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს გაუჩნდა, ბუსუსებიანი თუ მის გარეშე პრეზერვატივების შერჩევა იყო. ამ ფრიად სერიოზულ თემას ახალბედა პარლამენტარები საკმაო სერიოზულობით მოეკიდნენ და გადაწყვეტილების მიღებასაც საკმაო დრო დასჭირდა. ასევე არანაკლები პრობლემები დახვდა უწყებაში მთავარ პროკურორ კბილაშვილსაც, თუმცა, ხომ გაგიგიათ, ხერხი სჯობია ღონესაო და კბილამაც პრობლემის გადაწყვეტის ფრიად ორიგინალური გზა აირჩია, აგერ უკვე შვიდი თვეა, კბილაშვილის უწყება ანონსს ანონსზე აცხობს და თითო ანონსი მინიმუმ დღე-ნახევარი მაინც ჰყოფნის სამართლიანობის აღდგენის მოლოდინში პირდაღებულ ხალხს სალოღნად, ცოდვა გამხელილი სჯობს და ჟურნალისტებიც შესაშური პროფესიონალიზმით უწყობენ ხელს ამ ფრიად საპასუხისმგებლო საქმეში.

გარდა ამ უამრავი საკითხისა, მორიგი გახურებული მკითხაობა უკვე საპრეზიდენტო კანდიდატებზე მიდის, ვის დაასახელებს კოალიცია და შემდეგ ოპოზიცია საპრეზიდენტო კანდიდატს. პირველი ინტრიგა კოალიციამ კვირის დასაწყისში ჩააგდო, დასახელდნენ სავარაუდო კანდიდატებიც, არც ის არის გამორიცხული, დასახელებული კანდიდატებიდან არც ერთი არ აღმოჩნდეს პრეზიდენტობისთვის შესაფერისი და არჩევანი აბსოლუტურად სხვა კანდიდატზე შეჩერდეს.

რაც შეეხება ყველაზე უხუცეს საპრეზიდენტო კანდიდატს, რომლის სავარაუდო გაპრეზიდენტებაზე ჯერ კიდევ ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენამდე იყო საუბარი, ირაკლი ალასანიაა, თუმცა საპრეზიდენტო კანდიდატთა მარათონს ალასანია ბევრი მიზეზის გამო გამოეთიშა.

ირაკლი ალასანიამ საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერით განაცხადა, რომ დაახლოებით იცის, ვინ შეიძლება დასახელდეს „ქართული ოცნებიდან“ კანდიდატად და კონკრეტულად ვის აქვს შანსი, შედგეს მის ირგვლივ კონსენსუსი. თუმცა ალასანიამ თავი აარიდა ყველა იმ კითხვას, რომლებზე პასუხიც მინიშნება იქნებოდა იმისა, თუ ვინ შეიძლება გახდეს „ქართული ოცნების“ კანდიდატი.

ალასანიამ ასევე განაცხადა, რომ კოალიციაში გაერთიანებული სხვა პარტიებისგან განსხვავებით, იგი და მისი პარტია „თავისუფალი დემოკრატები“ ძლიერი საპრეზიდენტო სისტემის მომხრენი რჩებიან, ნაცვლად საპარლამენტო რესპუბლიკისა.



– ანგარიში უნდა გავუწიოთ აუცილებლად იმ რეალობას, რა რეალობაშიც დღეს ვართ, – განაცხადა მან, მხედველობაში ჰქონდა რა ის ფაქტი, რომ პრემიერ-მინისტრი ივანიშვილი და კოალიცია „ქართული ოცნების“ სხვა წევრები ძლიერი საპრეზიდენტო სისტემის წინააღმდეგ გამოდიან, – აქედან გამომდინარე, მე, ბუნებრივია, მხარს დავუჭერ საზოგადოებისა და კოალიციაში უმრავლესობის მოსაზრებას ამ ეტაპზე. მე ვთვლი, რომ აუცილებელია შანსი მივცეთ ამ ახალ ფორმას, – განაცხადა ალასანიამ.

შეგახსენებთ, რომ ახალი საკონსტიტუციო მოდელი, რომელიც ოქტომბრის არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგ შევა ძალაში, მნიშვნელოვნად გაზრდის პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილებას პრეზიდენტის უფლებების შემცირების ხარჯზე.

რაც შეეხება ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, საპრეზიდენტო კანდიდატის გამოსავლენად პრაიმერის ჩატარებას გეგმავენ, თუმცა ცალკეული პიროვნებებისადმი სიმპათიასაც არ მალავენ, მაგალითად, გიგი უგულავას პრეზიდენტობისთვის შესაფერ კანდიდატად უმცირესობის ლიდერი დავით ბაქრაძე მიაჩნია.

– მე ჩემს პირად აზრს გეტყვით, რომ შეუძლებელია წინასწარ იმის თქმა, თუ ვინ იქნება ჩვენგან, იმიტომ რომ ეს პროცესია პრაიმერის და პრაიმერი იმის პრაიმერია, რომ შეიძლება მოულოდნელიც იყოს ვინმესთვის შედეგი, მათ შორის ჩემთვის ან საზოგადოებისთვის. მე შემიძლია გითხრათ პირადად ჩემი აზრი, რომ დღეს ორივე მხრიდან ორ კანდიდატს ვხედავ: ოცნების მხრიდან, ჩემი აზრით, ყველაზე მეტად ამ თანამდებობას ალასანია შეესაბამება, ნაციონალური მოძრაობის მხრიდან, ჩემი აზრით, ისევ ხაზს ვუსვამ, ბაქრაძე შეესაბამება, – განაცხადა უგულავამ. უგულავამ, რომლის უფლებამოსილების ვადაც მერის პოსტზე 2014 წელს იწურება, გამორიცხა ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში კენჭისყრა.

ნაციონალური მოძრაობის გენერალურ მდივან ვანო მერაბიშვილის აზრით, საპრეზიდენტო კანდიდატები მას შემდეგ გაირკვევა, რაც პარტია პრაიმერის ჩატარების წესზე შეთანხმდება. მერაბიშვილმა დაკონკრეტებისაგან თავი შეიკავა.

პარლამენტის ვიცე-სპიკერმი და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში ყოფილი სახელმწიფო მინისტრი გიორგი ბარამიძე არ გამორიცხავს, რომ მონაწილეობა მიიღოს პარტიულ პრაიმერში.

ანალოგიურ მკითხაობაშია პარლამენტს გარეთ დარჩენილი ოპოზიციაც.

„თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა საპრეზიდენტო კანდიდატთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას მომავალ კვირას მიიღებს.

კუკავას თქმით, იმ შემთხვევაში, თუ „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი მისთვის მისაღები არ იქნება, შესაძლოა, გარე ოპოზიციურ საერთო საპრეზიდენტო კანდიდატზეც შეთანხმდნენ.

– საქართველოს პრეზიდენტი უნდა იყოს ტოლერანტი და ქართველი. „ქართული ოცნების“ სავარაუდო კანდიდატები ცნობილია, მაგრამ მათ პერსონიფიცირებას არ დავიწყებ, მით უმეტეს არც ვიცით, ვინმე იქნება სინამდვილეში მათგან წარმოდგენილი საპრეზიდენტო კანდიდატად თუ არა. არსებობს მოსაზრება, რომ საპრეზიდენტო კანდიდატი თავად ივანიშვილი იყოს და სხვა კანდიდატების დასახელება თვალის ასახვევად ხდებოდეს. მე, პირადად, ივანიშვილის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, – განაცხადა კახა კუკავამ.

საკუთარი ვერსიები აქვს გიორგი ცაგარეიშვილსაც. მისი თქმით, საპრეზიდენტო კანდიდატი კოალიციას, სავარაუდოდ, უკვე შერჩეული ჰყავს.

– „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი უკვე დასახელებულ გვარებს შორის შესაძლოა ერთ-ერთი იყოს. კანდიდატის ვინაობას ვერ დავასახელებ, რადგან არ მინდა დავარღვიო შიდა კოალიციური დისციპლინა, თუმცა 24, მაქსიმუმ, 48 საათში უკვე ცნობილი გახდება, თუ ვინ იქნება „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი, – აღნიშნა გიორგი ცაგარეიშვილმა.

რაც შეეხება პოლიტიკურ გამოცდილებას, ცაგარეიშვილი აცხადებს, რომ აუცილებელი არ არის, პრეზიდენტობის კანდიდატს ღრმა პოლიტიკური გამოცდილება ჰქონდეს.

– მთავარია, მას კარგად ესმოდეს, რომ მომავალი 5 წლის განმავლობაში ქვეყნის განვითარებისა და გაძლიერებისთვის უნდა იბრძოლოს, – აცხადებს ცაგარეიშვილი. მისივე თქმით, კანდიდატის ვინაობას პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი დაასახელებს, რომელიც არჩევნებში აუცილებლად გაიმარჯვებს.

## საქართველო და თურქეთი სამხედრო მრეწველობაშიც ითანამშრომლებენ

შორენა გონგლაძე

თავდაცვის სამინისტრომ, შესაძლოა, თურქეთთან სამხედრო მრეწველობაში თანამშრომლობის შესაძლებლობებზე იმსჯელოს, ამის შესახებ თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ განაცხადა.

ალასანიას განცხადებით, ანკარასთან სამხედრო მრეწველობაში „ერთობლივი პროექტების“ განხორციელების პოტენციალს მიმდინარე კვირას თურქეთში დაგეგმილი ვიზიტის დროს განიხილავენ.

– თურქეთთან ვხსნით ძალიან დიდი თანამშრომლობის პერსპექტივებს. მათ აქვთ ძალიან სერიოზული სამხედრო ინდუსტრია. შეიძლება, მათთან ერთობლივი სამხედრო პროექტები განვახორციელოთ, – განაცხადა ალასანიამ.

– მე ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ ის პოტენციალი, რომელიც აქვს ჩვენს სამხედრო-სამრეწველო კომპლექს „დელტას“ ჩვენი ინდუსტრიის წინ წაწევისთვის, გამოყენებული იქნება და შევთანხმდებით ეფექტიან თანამშრომლობაზე თურქეთთანაც და სხვა ქვეყნებთანაც, – განაცხადა ალასანიამ. სააგენტო ცივილ.გეს ცნობით, საინფორმაციო სააგენტო აზერი-პრესი იტყობინებოდა თვის დასაწყისში ანონიმურ აზერბაიჯანულ „სამხედრო წყაროებზე“ დაყრდნობით, რომ თბილისმა ბაქოს ერთობლივი საწარმოს შექმნა შესთავაზა „თბილავიამშენში“ მოიერიშე თვითმფრინავის შუ-25-ის „მოდერნიზებული მოდელების“ საწარმოებლად.

„თბილავიამშენი“, რომლის პრივატიზაციაც 2004 წელს განხორციელდა, 2010 წელს თავდაცვის სამინისტროს მფლობელობაში გადავიდა, რაც, ხელისუფლების თქმით, სამხედრო სარემონტო-სამრეწველო კომპლექსის ჩამოყალიბების გეგმის ფარგლებში განხორციელდა. ამჟამად კომპანია თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებულ სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტას“ ნაწილია. მას შემდეგ „დელტამ“ ქვეითთა საბრძოლო მანქანა „ლაზიკა“ და ჯავშანტრანსპორტიორი „დიდგორი“ გამოუშვა.

# ზაზა ხატიაშვილი: „ივანიშვილმა და უსუფაშვილმა ადვოკატებს დაგვარტყეს!“

დასაწყისი მე-5 გვერდზე

რა? ახლა ევროპის ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეს ვესაუბრე. მითხრა: ჩამოდი სესიაზე და დაგეხმარებითო. ევროპის ადვოკატთა ასოციაციას და მსოფლიოს ადვოკატთა ასოციაციას რომ გავაკეთებინებ განცხადებას, რა ხდება საქართველოში, მერე გამოვიდნენ და მოატყუონ სამოქალაქო საზოგადოებას, თითქოს ადვოკატთა ინსტიტუტის გაძლიერებისთვის იბრძვიან.

***– ისე გამოდის, რომ ახალი ხელისუფლება ადვოკატთა კორპუსის ინტერესებს იგნორირებას უკეთებს, ანუ ახალ ხელისუფლებას პოლიტიკური ნება არა აქვს?***

– არა. ივანიშვილმა ჩვენ დაგვარტყა. უსუფაშვილმა დაგვარტყა ამ გადაწყვეტილებით. ორივე მათგანს მივწერე ღია წერილები, რომ არ დაეშვათ მესამე მოსმენა. არც ერთმა ჩამაგდო ძაღლად და არც მეორემ.

***– თქვენი განცხადებები გასაგებია, თუმცა მთავრობა ყოველდღიურად გვიმტკიცებს, რომ სამართლიანობის აღდგენის კუთხით, როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელი ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს. ასე არ არის?***

– გეტყვით. პროკურატურაში რომ ქაოსია, ასეთი ქაოსი მე არ მახსოვს. პროკურატურაში მართლაც ძალიან ცუდი მდგომარეობაა. შინაგან საქმეთა სამინისტროში კი უარესი მდგომარეობაა. როგორ შეიძლება ღარიბაშვილი იყოს შინაგან საქმეთა მინისტრი და იქ სიტუაცია დალაგდეს? თქვენ ამ კაცს ხომ უსმენთ, აღარ მინდა მის განცხადებებზე კომენტარი გავაკეთო. ღარიბაშვილი არის ის კაცი, რომელიც მუნდირის დაცვას ეძახის იმას, ადამიანებს რომ სცემს და აწამებს. ადამიანი, რომელიც ღარიბაშვილს შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშნავს და დაინახავს, როგორი მინისტრია, მე როგორ უნდა დამაჯერონ, იმ კაცს საქართველო უყვარს. დამიჯერეთ, ესენი საპროკურორო სახელმწიფოს ქმნიან. საერთოდ ბიძინა ივანიშვილს საქართველო რომ უყვარდეს და უნდოდეს სამოქალაქო საზოგადოების განვითარება, ასე არ იქნებოდა. პროკურატურას თავისი გამოძიება აქვს, შსს-ს – თავისი, ფინანსთა სამინისტროს თავისი გამოძიება აქვს, გარემოს დაცვას და სასჯელაღსრულების სამინისტროს – თავისი. ნორმალურ ქვეყანაში გამოძიება არც ერთ ამ უწყებაში არ უნდა იყოს. უნდა იყოს ცალკე უწყება. ამაზე ვსაუბრობ მას შემდეგ, რაც ადვოკატი გავხდი. პირველ რიგში ივანიშვილს სწორედ ეს უნდა გაეკეთებინა და არ გააკეთა. პროკურორი რომ დანაშაულს ჩაიდენდა, იუსტიციის სამინისტროს გენინსპექცია სწავლობდა ამას. ახლანდელი ცვლილებით ხდება საკანონმდებლო გადატრიალება და საპროკურორო სახელმწიფოს შექმნა. ეს ფუნქციები გადააქვთ პროკურატურაში. დღეს მთავარი პროკურორი ლაშა ნაცვლიშვილია. ლაშა ნაცვლიშვილის გარეშე ნაბიჯს ვერავინ ვერ გადადგამს.

***– დარწმუნებული ხართ, რომ ლაშა ნაცვლიშვილს არჩილ კბილაშვილის უწყებაში ამხელა გავლენა აქვს?***

– კი, მე ვიცი, რომ ლაშა ნაცვლიშვილმა დაბლოკა ადვოკატთა კორპუსის სასარგებლო ცვლილებები. ეს გააკეთა კიდევ ვახტანგ ხმალაძემ. ეს ცვლილებები რეალურად რესპუბლიკურმა პარტიამ დამიბლოკა, ანუ იმ ადამიანებმა, ვისთანაც ყველაზე კარგი ურთიერთობები მქონდა.

***– თქვენ ფიქრობთ თუ დაზუსტებული ინფორმაცია გაქვთ, რომ ამ ყველაფრის საქმის კურსში არის თავად პრემიერი ივანიშვილი?***

– პრემიერ-მინისტრს ღია წერილი მივწერე. მე არა ვარ ვიღაცა. მე ვარ ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე, რომელიც წარმოვადგენ 4000 ადვოკატს. მთავარი პროკურორი წარმოადგენს 500 პროკურორს. ყველა ქვეყანაში ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე და მთავარი პროკურორი ერთნაირი თანამდებობებია. ასოციაციის ხელმძღვანელი ვწერ პრემიერს ღია წერილს და საერთოდ არ მცემს პასუხს. აი, ეს არის პრობლემა, ეს არის ბოლშევიზმი, მეტი არაფერი. მე ამათ როგორ უნდა დავუჯერო, რომ ამბობენ, სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება გვინდაო. ის პროკურორები, რომლებიც დასაჭერად დამდევდნენ, დააწინაურეს.

***– პრემიერმა საჯაროდ არაერთხელ თქვა, რომ ის ხელისუფლებიდან დაახლოებით ორ წელიწადში წავა და სამოქალაქო სექტორის გაძლიერებას შეუწყობს ხელს. ფიქრობთ, რომ პრემიერმა პოზიცია შეიცვალა?***

– ეს განცხადება არის ბლეფი. დამიჯერეთ, ბიძინა ივანიშვილი არსად წამსვლელი არ არის. როდესაც ადამიანი უშვებ იმას, რომ საპროკურორო სახელმწიფო შეიქმნას და ატყუებ ხალხს სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებისთვის ვიბრძვიო, რას აკეთებ ამისთვის? ორი რამით უნდა გაეძლიერებინა სამოქალაქო საზოგადოება: გამოძიება უნდა ყოფილიყო ცალკე. ადრე იუსტიციაში იყო გენინსპექცია. ახლა იმ ცვლილებებით, რომელიც ბოლოს ვნახე, ეს ფუნქცია გადადის პროკურატურაში, ანუ საპროკურორო სახელმწიფო იქმნება. აქედან გამომდინარე, ჩემთვის ყველაფერი ნათელია. შეიძლება ამ ადამიანმა ვიღაც მოატყუოს სოფელში, ის კაცი, ვინც იურისპრუდენციაში აზრზე არ არის. მე შარშან ერთადერთი ადვოკატი ვიყავი ევროპაში, რომელმაც ევროკონვენციის მესამე მუხლით – წამება, სამ თვეში ორი პროცესი მოვიგე. ეს არავის არ გაუკეთებია, მე ივანიშვილმა როგორ უნდა მომატყუოს.

***– თქვენი აზრით, რატომ მიდის ასეთ ნაბიჯებზე ხელისუფლება, რომელიც ახალი მოსულია და პოზიციების გამყარება სჭირდება?***

– ფაქტია, ნდობა მათ დაკარგეს. ეს დაადასტურა ნაძალადევის არჩევნებმა, სადაც თეა წულუკიანმა მიიღო 72% 1 ოქტომბერს გაყალბებულ არჩევნებში. გაუყალბებელ არჩევნებში, როცა არჩევნები ქართულმა ოცნებამ ჩაატარა, მათმა კანდიდატმა კორძაიამ, თუ არ ვცდები, 40% აიღო. ანუ დაახლოებით 50%-იანი წყვეტა აქვთ, წულუკიანს მაშინ დაახლოებით 20% მაინც გაუყალბეს. აქედან გამომდინარე, ეს ხელისუფლება ყველანაირ უკანონობაზე წავა, შექმნის საპროკურორო სახელმწიფოს, გააძლიერებენ სამართალდამცავებს, რომ ხელისუფლება შეინარჩუნონ. დამიჯერეთ, ივანიშვილი წელიწადნახევარში არ წავა, იმიტომ, რომ ის რეალურად ქმნის საპროკურორო სახელმწიფოს და დემოკრატიის ჩარჩოებს ძალიან შორდება. პროკურატურის სისტემის გაძლიერების ხელშეწყობა, ეს არის კატასტროფა.

***– დაბოლოს, თქვენი საუბრიდან გამოდის, რომ საპარლამენტო უმრავლესობა იმაზე მუშაობს, რომ ადამიანის უფლებები ბოლომდე არ იყოს დაცული, რომ სამართლიანი სასამართლო არ იყოს და ა.შ.***

– საერთაშორისო სამართლით არის დადგენილი, როგორი უნდა იყოს სამართლიანი სასამართლო, როგორი უნდა იყოს მხარეთა თანასწორობის პრინციპი. პროკურორს აქვს უფლება, გამოითხოვოს ნებისმიერი მტკიცებულება და სასამართლოს მიმართოს ჩხრეკასა და ამოღებაზე. ადვოკატს აკრძალული ჰქონდა უფლება მიემართა სასამართლოსთვის ჩხრეკასა და ამოღებაზე. ამიტომ პარლამენტი როცა ამბობს, რომ ჩვენ ვიბრძვით იმისთვის, რომ სამართლიანი სასამართლო გვქონდეს, პარლამენტმა ეს თავისი გადაწყვეტილებით უნდა დაამტკიცოს. მათ მთლიანად დამიბლოკეს ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მეექვსე მუხლი, სადაც პირდაპირ არის მითითებული მხარეთა თანასწორობა. საპროკურორო სახელმწიფოს შექმნის ნათელი მაგალითია პროკურატურის შესახებ კანონში შესატანი ცვლილებები. ამ ცვლილებებით უკვე დამთავრდა საქართველოს განვითარება. მე თუ მკითხავთ, ივანიშვილს რულეტკასავით გაუმართლა, როცა მის მთავრობაში არის თეა წულუკიანი, რომლის იმედი მეც მქონდა და სამოქალაქო საზოგადოებასაც, რომ თუ პროკურორი დანაშაულს ჩაიდენდა, გენინსპექციაში მივმართავდით და ის დაისჯებოდა. დღეს ეს ყველაფერი ერთ უწყებაში ექცევა. პროკურორი, რომელიც დანაშაულს ჩაიდენს, მან ხომ იცის, რომ ეს ზემდგომთან შეთანხმებულია. როგორ ფიქრობთ, იგივე უწყება ამ პროკურორს დასჯის? ანუ ცუდი რაღაც მოხდა საკანონმდებლო დონეზე, ეს არის ევროკონვენციის მეექვსე მუხლის დარღვევა. მიმაჩნია, რომ ეს სპეციალურად მოხდა. სკამები დაიტაცეს, გამყარდნენ პოზიციებზე. დამიჯერეთ, ეკა ბესელია რომ გამოიყვანო პარლამენტიდან და მისი კომიტეტი, პარლამენტს საერთოდ ერთი პროცენტი ღირებულება არ გააჩნია.

# რა დარღვევებია ეროვნულ მუზეუმში?

ეკა ირემაშვილი




რა დარღვევებია ეროვნულ მუზეუმში? ამ კითხვაზე პასუხი ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა გაავრცელა, რომელმაც სახელმწიფო აუდიტის სამსახურიდან მიიღო 2012 წელს დაწყებული და ამ პერიოდისთვის დასრულებული ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ანგარიშები კულტურის სამინისტროში.

სხვადასხვა კულტურული ღონისძიების დაფინანსებასთან ერთად, აუდიტის ანგარიშში მოხვდა ეროვნული მუზეუმიც. გაირკვა, რომ ძირითად აქტივებზე ძირითადი კაპიტალის მოხმარების (ფიზიკური ცვეთა) დარიცხვა წარმოებს დადგენილი წესებისა და ნორმების იგნორირებით. ეროვნული მუზეუმის მიერ ძირითადი აქტივების საამორტიზაციო ანარიცხების განსაზღვრა და დარიცხვა წარმოებდა მოქმედი წესებისა და ნორმების დარღვევით, კერძოდ, მუზეუმის ბალანსზე რიცხული არასაცხოვრებელი შენობების საწყისი ღირებულება შეადგენს 23 235.2 ათას ლარს. დადგინდა, რომ ცვეთის სწორად დარიცხვის შემთხვევაში, ნარჩენი საბალანსო ღირებულება წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო 21 803.9 ათასი ლარის ოდენობით (ნაცვლად 18 637.2 ათასი ლარისა), შედეგად ფინანსურ ანგარიშგებაში „არასაცხოვრებელი შენობების“ ღირებულება (შესაბამისად, კაპიტალი) შემცირებულია 3 166.7 ათასი ლარით.

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „ქართუდან“ მიღებული გრანტის პროგრამის ფარგლებში, „ასოციაცია ატუ“ 2005 წლიდან ინტენსიურად ახორციელებდა ეროვნული მუზეუმის შემადგენლობაში არსებული სიმონ ჯანაშიას სახელობის მუზეუმის შენობა-ნაგებობების სარემონტო-სარესტავრაციო სამუშაოებს. „ასოციაცია ატუმ“ 2011 წლის 13 დეკემბრის №1589/041/1382 წერილით მიმართა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს უფლებამოსილი წარმომადგენლის გამოყოფის თაობაზე, მის მიერ განხორციელებული 10 271.4 ათასი ლარის ღირებულების შენობა-ნაგებობების სარეაბილიტაციო სამუშაოებისა და 1 432.3 ათასი ლარის მატერიალური ფასეულობების სამინისტროსთვის უსასყიდლოდ გადაცემის აქტის გასაფორმებლად. თავის მხრივ, სამინისტრო 2012 წლის 20 იანვრის №05/1338 წერილით მიმართავს მუზეუმს „კომპეტენციის ფარგლებში“ საკითხის გადასაწყვეტად. თუმცა 11 703.7 ათასი ლარის ღირებულების არაფინანსური აქტივები (შენობა ნაგებობების 10 271.4 ათასი ლარის კაპიტალიზაცია და 1 432.3 ათასი ლარის მატერიალური ფასეულობები) ფინანსურ ანგარიშგებაში არ ასახულა. აღნიშნულის მიზეზად სახელდება ის ფაქტი, რომ შენობებზე გაწეული სამუშაოების შესახებ სამართლებრივი ბაზისა და შესრულებული სამუშაოების ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტები არ არსებობს.

აუდიტში ცალკე აქცენტია გაკეთებული ეროვნული მუზეუმის დებიტორული დავალიანების აღურიცხაობაზე. გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით, ეროვნული მუზეუმი (როგორც მეიჯარე და მიმწოდებელი) და შპს „სანქტა ესპერანსას“ (როგორც მოიჯარესა და რეალიზატორს) სარეალიზაციოდ გადასცემს გამოცემებსა და სასუვენირო პროდუქციას. 2011 წლის მანძილზე „სანქტა ესპერანსას“ მიერ მუზეუმისგან მიღებული 21.0 ათასი ლარის საქონლიდან, რეალიზებულად ნაჩვენებია მხოლოდ 10.6 ათასი ლარის საქონელი და მუზეუმის ანგარიშზე ჩარიცხულია ამდენივე თანხა, ხოლო 10.4 ათასი ლარის დავალიანება 2012 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით, ფინანსურ ანგარიშგებაში დებიტორულ დავალიანებად არ არის აღიარებული, რაც გამოწვეულია იმით, რომ აღნიშნული საქონელი გაცემისთანავე ხარჯებშია გატარებული.

ეროვნული მუზეუმის ბალანსზე ირიცხება დემონტაჟის შედეგად არარსებული შენობა რუსთაველის გამზირის №37-ში მდებარე „ლიტ „გ“ (182.80 კვ.მ.) საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2007 წლის 19 ოქტომბრის №1-1/1636 ბრძანებით, მუზეუმის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, არსებობის ვადით გადაეცა თბილისში რუსთაველის გამზირის № 37-ში მდებარე „ლიტ „ა“ და „ლიტ „გ“ შენობების 316.49 კვ.მ. ფართობი ღირებულებით 166 465 ლარი (შპს „აუდიტ ინფორმი ეს“-ის №2006/10/11/1 აუდიტორული დასკვნის შესაბამისად) და მასზე ნაწილობრივ დამაგრებული მიწის ნაკვეთი 87 კვ.მ. („საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2007 წლის 7 თებერვლის №16/01-3979 წერილის შესაბამისად) ღირებულებით 43 500 ლარი.

2007 წლის 14 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, „უზუფრუქტუარი“ ვალდებული იყო, სხვა პირობებთან ერთად ხელშეკრულების გაფორმებიდან ორი კვირის ვადაში დაეზღვია ქონება უზუფრუქტის არსებობის მანძილზე, თუმცა მუზეუმს ქონება არ დაუზღვევია. ამავე დროს, „უზუფრუქტუარი“ პასუხისმგებელია ქონების მოვლა-პატრონობასა და დაცვაზე.

წარმოდგენილი ინფორმაციით, აღნიშნული უძრავი ქონებიდან შენობა „ლიტ „გ“ მუზეუმის მიერ არ იყო გამოყენებული. 2008 წლის 5 დეკემბერს უძრავი ქონების მონიტორინგის დროს აღმოჩნდა, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე „სილქ როუდ ჯგუფის“ დაკვეთით სამშენებლო კომპანია „ჰორიზონტის“ მიერ მიმდინარეობდა სადემონტაჟო სამუშაოები, რის შედეგადაც უკვე დანგრეული იყო „ლიტ „გ“ შენობის მეორე სართული.

აღნიშნულის შესახებ მუზეუმმა აცნობა თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურს (2008 წლის 5 დეკემბრის №03/03-1351 წერილი), სადაც ასევე მითითებული იყო, რომ „სილქ როუდ ჯგუფის“ ხელმძღვანელმა უარი განაცხადა საკუთრების უფლებისა და სამშენებლო სამუშაოების ნებართვის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტის წარმოდგენაზე. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, საკუთარი პოზიციის დასაფიქსირებლად მუზეუმმა 2009 წლის 6 თებერვლის №01/03-122 წერილით ასევე მიმართა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს. ამავე წერილით ირკვევა, რომ მუზეუმს თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურისთვის გაგზავნილ წერილზე წერილობითი პასუხი არ მიუღია.

საქართველოს ეკონომიკური სამინისტრო 2009 წლის 13 აპრილის №15/3335/9-8 წერილით (ასლი გადაეგზავნა „სილქ როუდ ჯგუფს“) ირკვევა, რომ რუსთაველის გამზირის № 37-ში მდებარე უძრავი ქონება წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას და ის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემულია მუზეუმზე (წერილს თან ახლავს 19.12.2007 წლის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან). მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული გალერეა „ლიტ „გ“ დემონტაჟის შედეგად აღარ არსებობს, მუზეუმის ბალანსზე კვლავ ირიცხება ეს ქონება (ეროვნული გალერეა „ლიტ „ა“, „ლიტ „გ“ – სულ 316.49 კვ.მ – 127 679.09 ლარის ნარჩენი ღირებულებით) და გრძელდება მასზე ცვეთის დარიცხვაც. ამრიგად, სახელმწიფო საკუთრება ზემოაღნიშნული შენობის სახით 2008 წლის 5 დეკემბრიდან უკვე აღარ არსებობს, რის შესახებაც სამართლებრივი აქტი მუზეუმს არ გააჩნია.

აუდიტის სამსახურს მიაჩნია, რომ ეროვნული მუზეუმის საკუთრებაში არსებული ოქრო ფინანსურ ანგარიშგებაში არასწორადაა შეფასებული და კლასიფიცირებული. ეროვნული მუზეუმის ბალანსზე „სხვა მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის“ ანგარიშზე წლების მანძილზე ირიცხებოდა 152 გრამი (99.99 სინჯის) ოქრო. მოქმედი წესების თანახმად, აღნიშნული ოქრო უნდა ასახულიყო „ფასეულობების“ ანგარიშში.

ოქროს საბალანსო ღირებულება შეადგენს 368.55 ლარს, რაც არ შეესაბამება რეალურ საბაზრო ღირებულებას (30-40-ჯერ ნაკლებია). აღნიშნული ოქრო მუზეუმში ინახება გამოუყენებლად და წარმოადგენს სახელმწიფო ქონებას. აუდიტის ჯგუფს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ განხილულ იქნეს აღნიშნული ოქროს საქართველოს ბანკისთვის გადაცემის შესაძლებლობის საკითხი.

სამინისტროს მიერ ეროვნულ მუზეუმში მისი დაარსებიდან დღემდე ფონდების მდგომარეობისა და აღრიცხვის შემოწმება არ ჩატარებულა, მიუხედავად იმისა, რომ „მუზეუმების შესახებ“ საქართველოს კანონით ეს მისი ფუნქციაა.

ასევე იდენტიფიცირებულია არსებითი შეუსაბამობები მიღება-ჩაბარების აქტისა და კონტრაქტორების მიერ შესრულებული სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის დამადასტურებელ დოკუმენტაციას შორის. ეროვნული მუზეუმის მიერ შპს „მშენებელი 2004“-სთვის ეროვნული გალერეის ბაღისმხრივი ფასადის კორპით შემოსვისა და მისი თანამდევი სამუშაოს შესრულებისთვის სულ გადახდილ იქნა 155.0 ათასი ლარი. წარმოდგენილი ხარჯვის დოკუმენტების მიხედვით, მას ნედლეული და მასალები დაუჯდა 56.3 ათასი ლარი, ფასების ცხრილსა და შესრულებულ სამუშაოთა მიღების აქტში კი ამ მასალების ღირებულებად შეტანილია 82.7 ათასი ლარი. ამ დროს სახელფასო უწყისში შრომის ანაზღაურების სახით კი დარიცხულადაა ნაჩვენები 72.7 ათასი ლარი (მათ შორის, 3 კაცზე დარიცხულია თითოეულზე 17 890.0 ლარი, რაც ჯამში 53 670.0 ლარს შეადგენს). შესრულებულ სამუშაოთა მიღებით აქტში კი ხელფასების სახით გაცემულადაა ნაჩვენები მხოლოდ 47.8 ათასი ლარი.

ეროვნულ მუზეუმსა (მეიჯარე) და შპს „გორგასალს“ (მოიჯარე) შორის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების მიხედვით არ არის გათვალისწინებული სახელმწიფოს, როგორც მეიჯარის ინტერესები. 2008 წლის 11 თებერვალს საქართველოს ეროვნულ მუზეუმსა და შპს „გორგასალს“ შორის გაფორმებული უნომრო იჯარის ხელშეკრულების მიხედვით, თბილისში სიონის №8-ში მდებარე იოსებ გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმის შენობის (3 738.97 კვ.მ) ე.წ. ქარვასლის 1 789 კვ.მ. აუთვისებელი ფართი (საიჯარო ქონება) 49 წლის ვადით იჯარით გადაეცა მოიჯარეს. ხელშეკრულებაში ჩადებული ზოგიერთი მუხლის მიხედვით, აშკარად იკვეთება „მეიჯარის“ (სახელმწიფოს) ინტერესების იგნორირება და „მოიჯარის“ ეკონომიკური ინტერესების გამტარებელი დამცავი მექანიზმების არსებობა: ხელშეკრულების მიხედვით „მოიჯარე“ ვალდებულია განახორციელოს შენობის სრული რეკონსტრუქცია. მათგან პირველი ორი წლის განმავლობაში განახორციელოს არაუმცირეს ერთი მილიონი აშშ დოლარის ინვესტირება შენობის რეაბილიტაციაში, თუმცა, არ არის დაკონკრეტებული, რა ვადებში უნდა განახორციელოს „მოიჯარემ“ შენობის სრული რეკონსტრუქცია, რაც იძლევა ინვესტირების პროცესის გაჭიანურების საშუალებას 49 წლის მანძილზე; იკრძალება საიჯარო ქირის (წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 20.5 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარებში) გაზრდა ნებისმიერ შემთხვევაში, 49 წლის მანძილზე, შესაბამისად, არ ითვალისწინებს ინფლაციის პროცესს; ხელშეკრულების მოშლის საფუძვლად მითითებულია მხოლოდ საიჯარო ქირის გადაუხდელობა 90 დღის განმავლობაში; ხელშეკრულებაში არ არის ჩადებული ეკონომიკური სანქციები პირობების შეუსრულებლობისათვის, რაც სხვა პირობებთან ერთად „მეიჯარის“ ინტერესების საზიანოდ არის მიმართული; ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის შეუსრულებლობა – 2010 წლის 10 თებერვლისთვის პროექტის დასრულების შესახებ დასტურდება 2010 წლის 10 თებერვალს „მეიჯარესა“ და „მოიჯარეს“ შორის გაფორმებული შეთანხმებით, რომლის მიხედვით ერთმილიონიანი აშშ დოლარის ინვესტირების ვადა კიდევ ორი წლით გაგრძელდა; ასევე წარმოდგენილია შპს „გორგასალის“ 2012 წლის 2 თებერვლის წერილი და თებერვლის შეთანხმება, რომლის მიხედვითაც ზემოხსენებული ვალდებულების შესრულების ვადა გაზრდილია 2013 წლის 10 თებერვლამდე; ზემოაღნიშნულ წერილში აღნიშნულია, რომ „მოიჯარემ“ უკვე განახორციელა 604.0 ათასი ლარის სამუშაოები და ამჟამად მიმდინარეობს კიდევ 320.0 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოები ანუ ხელშეკრულებით 2 წელიწადში ჩასატარებელი სამუშაოები 4 წლის განმავლობაშიც არ იქნა სრულად შესრულებული, მაშინ როდესაც შენობის სრული რეაბილიტაცია გაცილებით მეტ ინვესტიციას საჭიროებს; აუდიტის მიმდინარეობისას (2012 წლის 27 აპრილს) აუდიტის ჯგუფის მიერ მეიჯარის წარმომადგენლებთან ერთად ქარვასლის შენობის ვიზუალური დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ 2012 წლის 10 თებერვლამდე დასასრულებელი სამუშაოების მხოლოდ ნაწილი იყო შესრულებული და მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები.

„მუზეუმების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველი, მეორე და მეექვსე პუნქტების მიხედვით, „სამუზეუმო ნივთი და კოლექცია ექვემდებარება სავალდებულო სახელმწიფო აღრიცხვას (სახელმწიფო რეესტრში შეტანას) განურჩევლად მათი საკუთრებისა“, ხოლო „საქართველოს სამუზეუმო ფონდის სახელმწიფო რეესტრი არის საქართველოს სამუზეუმო ფონდის სააღრიცხვო დოკუმენტი“. ამასთან, ამ რეესტრის ფორმის შედგენის, შენახვისა და გამოყენების წესს ადგენს თვითონ სამინისტრო, რაც, ფაქტობრივად, არ განხორციელებულა“. წარმოდგენილი ინფორმაციით, ეროვნული გალერეა ეროვნული მუზეუმის შემადგენლობაში შევიდა 2007 წელს. გალერეაში არსებული 6 ფონდიდან 5 ფონდის ძირითად შემოსულობათა და საინვენტარო წიგნები არ არსებობს, რასაც 1991-1992 წლებში მომხდარი ხანძრით ხსნიან. შესაბამისი პასუხისმგებელი პირების განმარტებით, ხანძარმა ძველი დოკუმენტაცია სრულად გაანადგურა. დარჩენილია მხოლოდ ქანდაკებების ფონდის ძველი საინვენტარო წიგნები და ზოგიერთი სხვა დოკუმენტაცია. ხანძრის შემდეგ ამ 5 ფონდში ჩატარდა ინვენტარიზაცია, ჩვეულებრივად ა 4 ფორმატის ქაღალდზე საბეჭდი მანქანით დაიბეჭდა გადარჩენილი ექსპონატების სიები, რომლებიც აიკინძა ქრონოლოგიურად და ასეთი სახით გაკეთდა ახალი ე.წ. საინვენტარო წიგნები. თუმცა წინა ინვენტარიზაციის აქტების, აგრეთვე შემოსულობათა და საინვენტარო წიგნების და, რაც მთავარია, „საქართველოს სამუზეუმო ფონდის სახელმწიფო რეესტრის“ არარსებობის გამო შეუძლებელია შეჯერების გაკეთება ანუ იმის დადგენა, თუ კონკრეტულად რა სახის ექსპონატები იქნა დაკარგულ-განადგურებული და რამდენი. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს „საქართველოს სამუზეუმო ფონდის სახელმწიფო რეესტრის“ წარმოების აუცილებლობას. მიუხედავად ამისა, აღნიშნულ სააღრიცხვო დოკუმენტს სამინისტრო საერთოდ არ აწარმოებს.

საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 30 დეკემბრის №626 ბრძანებულებით შეიქმნა საქართველოს ეროვნული მუზეუმი, რომელშიც გაერთიანებულია: სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი, შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების მუზეუმი და მასთან არსებული უჯრედები (ელენე ახვლედიანის, მოსე თოიძის, იაკობ ნიკოლაძისა და უჩა ჯაფარიძის სახლ-მუზეუმები), იოსებ გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი (ქარვასლა), გიორგი ჩიტაიას სახელობის ქართული ყოფისა და ხუროთმოძღვრების ეთნოგრაფიული მუზეუმი, საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმი, საქართველოს ეროვნული გალერეა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმი, სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზუმი, სიღნაღის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის ვანის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალი, დმანისის მუზეუმ-ნაკრძალი და ორი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. ფაქტობრივად, ეროვნული მუზეუმი ზემოხსენებული სახელმწიფო მუზეუმების მექანიკური შეერთების გზით შეიქმნა და ფონდების ოფიციალური მიღება-ჩაბარება არ განხორციელებულა.

აუდიტის მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტაციაში აღნიშნულია ეროვნული მუზეუმის მიერ განხორციელებული შესყიდვები: მუზეუმსა და შპს „ვიკეინ ინჟინერინგისთან“ გაფორმებული ხელშეკრულების (ლიფტების შესყიდვა და მონტაჟი) შესრულების შემოწმების მიზნით წარმოდგენილი დოკუმენტებით გაირკვა, რომ შეძენილი ლიფტების შესყიდვის ფასი დღგ-ს გარეშე შეადგენს 137.0 ათას ლარს. ფორმა №2-ში შეტანილია 161.7 ათას ლარად (დარიცხული დღგ-ს ჩათვლით) ანუ 24.7 ათასი ლარით ზედმეტად. ზედნადები ხარჯების, მოგებისა და დღგ-ს დარიცხვის გათვალისწინებით, ზედმეტად გადახდილია 31.2 ათასი ლარი.

მაესტრო 7.00, 1.35, 4.15, 6.25 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმი 8.00, 9.00, 10.00, 0.00 ახალი ამბები 8.10, 9.15, 10.15 მაღვიძარა 11.00, 14.30 მაგთიფანი 11.30 აბები (გამ.) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.00, 4.55 თავისუფალი დრო 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.00 კვირის აბები (გამ.) 17.00 ჩემი ქორწილი (გამ.) 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 18.05, 0.40 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი„ 19.00 სერიალი „სიყვარული და სასჯელი„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 21.30, 2.15 მაგთიფანი კონცერტი

## ხუთშაბათი 16 მაისი

06.30 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა„ (პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 03.20 „მოამბე„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ (პ/ე) 12.45 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ (პ/ე) 15.00 ტ/სერ „ნიკოლა ლე ფლოკი„ 17.00 დ/ფ „სიცოცხლე„ 18.30 „პეპე და მეგობრები„ 19.05 ტ/სერ „სიყვარული შიშით„ 21.00 ტ/სერ „ნიკოლა ლე ფლოკი„ 22.00 „დიალოგი დავით პაიჭაძესთან„ 23.00 ევროვიზიის II ნახევარფინალი (პ/ტრ) 01.00 მხ/ფ „სუინი თოდი:წყეული დალაქი ფლით სტრითიდან„ (ჯ.ლოუ)

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე) 09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00 „ბრიფინგის დრო„ 11.00 დ/ფ „მეცნიერების ისტორია„ 4 ნაწ. 14.00 დ/ფ „მუზეუმის საიდუმლეობანი„ 4 ნაწ. 16.00 დ/ფ „მეცნიერების ისტორია„ 5 ნაწ. 19.00 ტ/სერ. „საიდუმლო გამოძიებანი„ 00.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „დაუვიწყარი„ 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი„ 12.30 იმედის დღე (პ/ე) 14.40 კაცების შოუ (გ/ჩ) 16.00 სერ. „დამალული სიმართლე„ 17.50 სერ. „მაგნატები„ 18.50 სერ. „აკრძალული სიყვარული„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 მხ/ფ „იუმას მატარებელი„ (რ.ქროუ) 00.45 მხ/ფ „უნივერსალური აგენტი„ 02.20 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 კომედი შოუ (გ/ჩ) 17.00 სერ. „ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი„ 20.05 სერ „ერთგულების ძალა„ 22.00 პროფილი 23.30 ტოპ გოგო 01.00 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი კლიპები

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 06.35 მხ/ფ „ოქროს ოზოზა„ II სერ. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 18.05, 21.10 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35, 21.05 ლექსით ქებათა ქება 10.40 მოკ/ფ „ჭა„ 11.30 ეპოქის სახელები 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ „ჩემი ბოშები„ 13.25 კონცერტი - ანს„დიდგორი„ 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 15.55 მოკ/ფ „მეზობლები„ 16.20 კონცერტი -კონსტანტინე პევზნერის საღამო 18.10 დიდ ხარ შენ, უფალო 18.30 ქრისტიანული სწავლება 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ „მონანიება„ I ნაწ. 20.40 ძილი ნებისა 21.00 პატრიარქის ქადაგება 21.10 ერთსულოვნების სალონი 22.25 ქრისტე აღსდგა, საქართველო (გვილოცავს ხევი) 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 მოკ/ფ „შნო„ 23.35 ეთნოგრაფია 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ „ოქროს ოზოზა„ III სერ.

მაესტრო 7.00, 3.00, 6.30 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმი 8.00, 9.00, 10.00, 1.00 ახალი ამბები 8.10, 9.15, 10.15 მაღვიძარა 11.00 კვირის აბები (გამ.) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 12.45, 14.30, 22.20, 0.30 მაგთიფანი 13.00, 5.00 თავისუფალი დრო 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.00 მაგთიფანი კონცერტი (გამ.) 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 18.05, 2.00 თოქ-შოუ „სუბ. აზრი„ 19.00 სერიალი „სიყვარული და სასჯელი„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.30 „ყოველდღიური ამბები„ 23.00, 3.30 თოქ–შოუ - „პოლიტმეტრი„

## პარასკევი 17 მაისი

06.30 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა„ (პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.50 „მოამბე„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ (პ/ე) 12.45 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ (პ/ე) 15.00 ტ/სერ „ნიკოლა ლე ფლოკი„ 17.00 დ/ფ „სამხედრო საზღვაო ავიაცია„ 18.00 „პეპე და მეგობრები„ 19.05 ტ/სერ „სიყვარული შიშით„ 21.00 ტ/სერ „ნიკოლა ლე ფლოკი„ 22.00 „აქცენტები„ 23.30 „წითელი ზონა„ 00.30 მხ/ფ „სიტყვა„ (ტიტ.)

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე) 09.00, 18.00, 20.00 „ბრიფინგის დრო„ 11.00 საქართველოს პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია (პ/ტ) 19.00 ტ/სერ. „საიდუმლო გამოძიებანი„ 00.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „დაუვიწყარი„ 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი„ 12.30 იმედის დღე (პ/ე) 14.40 ახალი საბავშვო ხმა (გ/ჩ) 17.50 სერ. „მაგნატები„ 8 სერ. 18.50 სერ. „აკრძალული სიყვარული„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 თოქ შოუ – ღია ეთერი (პ/ე) 00.15 მხ/ფ „ფარული მუქარა„ 01.55 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 ეკი ვოკი (გ/ჩ) 17.00 სერ. „ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი„ 20.05 სერ „ერთგულების ძალა„ 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 პოზიცია 23.00 ვანოს შოუ 01.00 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი კლიპები

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 06.35 მხ/ფ „ოქროს ოზოზა„ III სერ. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 მოკ/ფ „შნო„ 11.00 ქრისტე აღსდგა, საქართველო (გვილოცავს ხევი) 11.25 ეთნოგრაფია 11.40 ქრისტიანული სწავლება 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ „მონანიება„ I ნაწ. 13.25 კონცერტი - რიჩარდ კლაიდერმანი 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დეკორატიული ფლორა 15.45 მოკ/ფ „ბელურების გადაფრენა„ 16.40 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 17.05 საუბრები ლიტერატურაზე 17.35 მოკ/ფ „წყრომა„ 18.10 დიდ ხარ შენ, უფალო 18.35 ფოტოგალერეა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ „მონანიება„ II ნაწ. 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 ლექსით ქებათა ქება 21.30 მოგზაურობა სამშობლოში 22.25 ქრისტიანული ხელოვნება 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 მოკ/ფ „სერენადა„ 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 კვირიაკე 02.00 ჩვენი ბიბლიოთეკა

მაესტრო 7.00, 1.00, 4.30, 6.30 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმი 8.00, 9.00, 10.00 ახალი ამბები 8.10, 9.15, 10.15 მაღვიძარა 11.00, 12.45, 14.30, 17.00, 22.20, 0.30 მაგთიფანი 11.30 აბები (გამ.) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.00, 5.00 თავისუფალი დრო 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.00 პრესკლუბი 16.30 „მონიტორის/ჟურნალისტური გამოძიება (გამ.) 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 18.05, 2.00 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი„ 19.00 სერიალი „სიყვარული და სასჯელი„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.30 „ყოველდღიური ამბები„ 23.00, 3.00 თოქ–შოუ - „პოლიტმეტრი„

## შაბათი 18 მაისი

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00 საბ. ან/ფ „მარსიანელი ბავშვი„ 11.00 „ეთნოგრაფიული ნარკვევები„ 11.30 საბ. ტ/სერ „ზინგზილები„ 12.00, 16.00, 20.00, 03.30 „მოამბე„ 12.30 „AGVA-GEORGIA„ 13.00 დ/ფ „ღვინო„ 14.00 მხ/ფ „მეხისმტყორცნელი და ვინეტუ„ 16.30 „ჩემპიონთა ლიგის დღიური„ 17.00 დ/ფ „ექსტრაორდინარული ქალები„ 18.00 „ეტალონი„ 19.00 „გურმანია„ 21.00 მხ/ფ „სიყვარულის ამბავი„ 23.00 ევროვიზიის კონცერტის ფინალი (პ/ტრ) 01.30 მხ/ფ „ზზარი„ (ე.ჰოპკინსი)

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე) 09.00, 10.00, 15.00 „ბრიფინგის დრო„ 17.00 მხ/ფ „სუპერმენი„ (მ. ბრანდო) 18.30 დ/ფ „მსოფლიო ოდისეები„ — „გერმანია„ 20.00 „ეპიცენტრი„ 21.00 მხ/ფ „მის კონგენიალურობა„ (ს.ბალოკი) 23.00 მხ/ფ „მოწმობა ძორწინებისთვის„ (ტიტ.) (რ.უილიამსი)

07.20 ან/ფ „ბარბი მაკნატუნას ქვეყანაში„ 08.50 მხ/ფ „ოსტინ პაუერსი„ 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ან/ფ „ავატარი„ 12.00 ქ/სერ. „შუა ქალაქში„ 13.00 სერ.„ოქროს კერპი„ 3 სერ. 14.20 იმედიატორი (გ/ჩ) 15.50 დოკ/ფ „ტონინო გუერა საქართველოში„ (გ/ჩ) 17.50 სერ „მაგნატები„ 9 სერ. 18.50 სერ. „აკრძალული სიყვარული„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 ქ/სერ. „შუა ქალაქში„ 23.00 კაცების შოუ 00.00 მხ/ფ „ბანძო„ ფული და ორი ლულა„ (ჯ.ფლემინგი) 01.55 მხ/ფ „მინდა გახსოვდე„ (ე. დე რეივინი) (ტიტ.) 03.45 მუსიკა

08.00 კურიერიჰ დაიჯესტი 08.30 MTV ROOM RAIDERS 09.00 ანიმაცია „პატარა პრინცი„ 09.30 შერეკილები 10.30 სერ. „ჩემი ცოლის დაქალები„ 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.00 კურიერი 12.30 ბიზნეს კურიერი 13.30 ქართ. მხ/ფ 16.30 „ნანუკას შოუ„ - (გ/ჩ) 19.00 ყველაზე ჭკვიანი 2. 20.05 სერ. „ერთგულების ძალა„22.00 სერ. „ჩემი ცოლის დაქალები„ 00.30 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 01.00 „Latin Angels" 01.30 სერ. „ბრიმი„ 02.00 მხ/ფ

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 06.35 დოკ/ფ „ყველაზე, ყველაზე„ 07.35 მოგზაურობა სამშობლოში 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ჩვენი ფონდი 09.05 „განთიადი„ (კოლაჟი) 10.05, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 ქართული მულტფილმი 10.55 კვირიაკე 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ „მონანიება„ II ნაწ. 13.30 ჩვენი ბიბლიოთეკა 13.55 ქრისტიანული სწავლება 14.10 მოკ/ფ „სერენადა„ 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.10 ოპერა-„ნორმა„ 18.10 ქრისტიანული ხელოვნება 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 გამოყენებითი ხელოვნება 19.35 ქართული ალბომი 20.00 ერთსულოვნების სალონი 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 ლექსით ქებათა ქება 21.30 კარაბადინი 22.25 პორტრეტი „ერთსულოვნების„ გალერეიდან 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 22.10 სიმღერის კვალდაკვალ 00.30 მხ/ფ „ოქროს ოზოზა„ IV სერ. 01.40 დოკ/ფ „კაკ ენისელი„

მაესტრო 7.00, 0.00, 2.00, 3.00, 6.30 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმი 8.00 მაღვიძარა (კოლაჟი) 9.30 თოქ-შოუ „პოლიტმეტრი„ (გამ.) 11.00, 18.45, 23.00, 3.30 მაგთიფანი 11.30 აბები (გამ.) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 12.30, 15.30, 19.00 სერიალი „სიყვარული და სასჯელი„ 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 21.45, 0.30, 4.30 თოქ-შოუ „პრესპრესი„ 1.30 მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება (გამ.) 2.30 „ღია კარის დღე„ (გამ.) 5.30 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი„ (გამ.)

## კვირა 19 მაისი

08.00 დ/ფ „მსოფლიო ოდისეები„ 08.20 საბ/ფ „საოცარი მისტერ ბარნანდერი„ 10.00 „ეტალონი„ 11.00 საბ. ტ/სერ „ზინგზილები„ 12.00, 16.00 „მოამბე„ 12.30 „ჩვენი ფერმა„ 13.00 „სპექტაკლის დრო„ 15.00 დ/ფ „ჩაცმის თავისუფლება„ 16.30 „ჩვენი ეზო„ 17.30 „ვაშინგტონი დღეს„ 18.00 მხ/ფ „გრაფი მონტე კრისტო„ (ჟ.მარე) 21.00 კონცერტი 22.00 „ქართული დოკუმენტალისტიკა„ 23.00 „აღმოაჩინე საქართველო„ 23.30 „უცნობი მუსიკა„ 00.30 კონცერტი 01.30 მხ/ფ „ჰაროლდი და კუმარი„ (ჰ .შლოსბერგი)

ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი: „ტორპედო„ /ქუთაისი/ — „დილა„ /გორი/ (პ/რ)

08.00 დ/ფ „მსოფლიოს ქალაქები„ — „ჰონკონგი„ 09.00 „ბრიფინგის დრო„ 10.00 მხ/ფ „სუპერმენის დაბრუნება„ 12.30 მხ/ფ „ჰაზარდელი დიუკები„ 14.10 დ/ფ „ბალადა დედოფლისთვის„ 15.00 საქართველოს პარლამენტის სხდომები (განვლილი კვირის დაიჯესტი) 19.00 დ/ფ „ექსტრაორდინარული ქალები„ — „უილის სიმპსონი„ 20.00 მხ/ფ „ოუშენის 13 მეგობარი„ (ჯ.კლუნი) 22.00 ტ/სერ. „დედა„ 4 სერ. 23.00 მხ/ფ „ფოტო გადიდება„ (ტიტ.)

07.20 ან/ფ „ბარბი: გედების ტბა„ 09.10 ქ.მხ/ფ „დიდედები და შვილიშვილები„ 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ბასტი ბუბუ 12.00 ქ/სერ. „შუა ქალაქში„ 13.00 სერ.„ოქროს კერპი„ 8 სერ. 14.20 მხ/ფ „მითი„ 17.40 იმედის გმირები 17.50 სერ „მაგნატები„ 18.50 სერ. „აკრძალული სიყვარული„ 21.00 ღამის შოუ 22.00 ქ/სერ. „შუა ქალაქში„ 23.00 რომ გადახვალ„ გააჩერე 23.30 იმედიატორი 01.00 დოკ/ფ „ელექტრომობილების შურისძიება„ 02.00 მუსიკა

08.00 კურიერი დაიჯესტი 08.30 MTV ROOM RAIDERS 09.00 ანიმაცია „პატარა პრინცი„ 09.30 შიშის ფაქტორი 10.30 სერ. „ჩემი ცოლის დაქალები„ 12.00, 15.00, 18.00, 04.00 კურიერი 12.30 დოკ/ფ (ფრაგმენტი) 13.00 „საქართველოს ვარსკვლავი„ 16.30 პროფილი (გ/ჩ) 19.00 ეკი ვოკი 20.00 იღბლიანი ბორბალი 21.00 P.S. 22.00 სერ. „ჩემი ცოლის დაქალები„ 23.00 კომედი შოუ 00.00 კარდაშიანების ოჯახი 01.00 ტოპ გოგო (გ/ჩ) 01.30 სერ. „ბრიმი„ 02.00 მხ/ფ კლიპები

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 06.35 მულტფილმი 08.00 დილის ლოცვა 08.10 სახარება 08.20 გამოყენებითი ხელოვნება 08.30 ქრისტიანული სწავლება 08.45 დეკორატიული ფლორა 09.05 „განთიადი„ (კოლაჟი) 10.05, 21.30 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10, 12.10, 22.55, 00.05 ისტორიის დღიური 10.15 სიახლენი 10.40 ქართული მულტფილმი 10.50 სიმღერის კვალდაკვალ 11.30 ქართული ალბომი 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ „მაისის თოვლი„ 13.25 ქრისტიანული ხელოვნება 13.55 დოკ/ფ „კაკ ენისელი„ 14.30 კარაბადინი 15.05, 18.05, 21.05, 00.10 პატრიარქის ქადაგება 15.30 მგზავრები წუთისოფლისა 16.00 ერთსულოვნების სალონი 16.55 ეპოქის სახელები 17.20 სღვთისმეტყველო საუბრები 18.30 დროის ჩანაწერები 19.35 მხ/ფ „არასერიოზული კაცი„ 21.35 ლექსით ქებათა ქება 21.45 კვირიაკე 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ „ხილული სასწაულები„ 00.30 მხ/ფ „მუსიკის ჰანგები„

მაესტრო 7.00 ახალი ამბები კოლაჟი 7.30 მულტფილმი 8.00 მაღვიძარა (კოლაჟი) 9.30, 18.45, 3.30 ღია კარის დღე 10.00, 11.00, 22.30, 0.00, 2.30, 5.30 მაგთიფანი 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 12.30, 15.30 სერიალი „სიყვარული და სასჯელი„ 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.30 მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება 20.00, 4.30 ჩემი ქორწილი 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 21.45, 1.30 კვირის აბები 23.30, 1.00, 4.00, 6.30 ახალი ამბები (კოლაჟი)

# დსთ-ის ქვეყნებში ფაშიზმზე გამარჯვების დღე აღინიშნა

— კომუნისტური რეჟიმის დროს წარმოიქმნა მითი, თითქოს რუსეთმა მსოფლიო ჰიტლერიზმისაგან იხსნა. საბჭოთა კავშირიც გამარჯვების დღეს არა 8 მაისს (როგორც ეს ხდება დასავლეთში), არამედ 9-ში აღნიშნავდა. ამით ხაზი ესმებოდა იმას, რომ ომი რუსეთმა და არა ანტიჰიტლერულმა კოალიციამ მოიგო, — ოლეს გონჩარი ამას 1992 წელს წერდა.

დღევანდელ რუსეთში ცხრა მაისს მოსკოვში გრანდიოზული სამხედრო აღლუმი ჩატარდა. რადიო „თავისუფლების" ცნობით, მასში ასი ერთეული სამხედრო ტექნიკა, 68 თვითმფრინავი და ვერტმფრენი მონაწილეობდა. თითქოს რუსეთი ამით მთელ მსოფლიოს ეუბნებოდა: ხმები ჩემი გარდაცვალების შესახებ გადაჭარბებულია, კვლავ „დერჟავა" ვარ და არაფერი შეგეშალოთო. ვლადიმერ პუტინმაც თავის გამოსვლაში აღნიშნა:

— რუსეთმა ნაცისტების აგრესიული გეგმები ჩაშალა და ევროპა „ყავისფერი ჭირისაგან" იხსნა!

აღლუმის შემდეგ ვეტერანთა ტრადიციული მსვლელობა მოეწყო, რასაც შემდეგ სახალხო სეირნობა მოჰყვა. რუსული მასმედია ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ზეიმში ახალგაზრდა თაობის ბევრი წარმომადგენელი მონაწილეობდა:

— ახალმა თაობამ არ დაივიწყა წარსული, არ დაივიწყა რუსეთის სიდიადე! — ნათქვამია ნტვ-ს კომენტარში.

მოსკოვის გარდა, სამხედრო აღლუმები ჩატარდა პეტერბურგში, ვოლგოგრადში, გროზნოში, ვლადივოსტოკში და ა.შ. რუსეთის რიგ ქალაქებში 9 მაისს საზეიმო განწყობილება სუფევდა და ეს „დერჟავისადმი" ნოსტალგიას ერწყმოდა. რიგ რაიონებში ამინდი ანაზდად გაფუჭდა, თუმცა ზეიმზე შეკრებილი ხალხი მაინც არ დაშლილა.

განსხვავებული ვითარება სუფევდა უკრაინაში. პრეზიდენტი იანუკოვიჩი აპირებდა, 9 მაისი ზარ-ზეიმით აღენიშნა, რათა ამით ოდნავ მაინც შეენელებინა რუსეთთან ურთიერთობებში არსებული დაძაბულობა. ეროვნულ-დემოკრატიული ოპოზიცია ამას წინ აღუდგა:



— რასაკვირველია, ფაშიზმზე გამარჯვების დღე უნდა აღინიშნოს, მაგრამ, ისიც უნდა ითქვას, რომ გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანეს როგორც წითელ არმიაში მობილიზებულმა უკრაინელებმა, აგრეთვე იმათაც, ვინც უკრაინის აჯანყებულთა არმიაში იბრძოდა. 9 მაისმა ჰიტლერული რაიხის არსებობას წერტილი დაუსვა, თუმცა ბოროტება ამით არ მოსპობილა. უკრაინა კიდევ კარგა ხანს დარჩა საბჭოთა იმპერიის ტყვეობაში. შესაბამისად, ცხრა მაისს კიევში სამხედრო აღლუმის ჩატარება დაუშვებელია! — თვლის „ბატკივშჩინას" ლიდერი არსენი იაცენიუკი.

გაერთიანება „სვობოდას" თავკაცი ოლეგ ტიაგნიბოკი ჩვეულებისამებრ უფრო რადიკალური იყო:

— მთელი ევროპა ფაშიზმზე გამარჯვებას 8 მაისს დღესასწაულობს. უკრაინამაც, რომელიც ევროპის ნაწილია, ეს დღე 8-ში უნდა აღნიშნოს! ამას გარდა, საბჭოური სიმბოლიკის გამოყენება უნდა აიკრძალოს! უკრაინელთა გენოციდი სწორედ ამ სიმბოლიკით ხდებოდა! ფაშიზმზე გამარჯვების დღესასწაულზეც მხოლოდ ეროვნული დროშა უნდა ფრიალებდეს!

30 აპრილს პრეზიდენტი იანუკოვიჩი თავის რეზიდენციაში ოპოზიციის წარმომადგენლებს შეხვდა. ამ დროს მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ ხელისუფლება კიევში სამხედრო აღლუმს არ ჩაატარებს, სამაგიეროდ, ოპოზიცია საზეიმო ღონისძიებას ხელს არ შეუშლის. მართლაც, კიევში სამხედრო აღლუმი არ ჩატარებულა, მოეწყო „სამხედრო-ისტორიული ღონისძიება". ქუჩებში მეორე მსოფლიო ომის დროინდელი ტექნიკა გამოიყვანეს, ხოლო ვეტერანებმა ხრიშჩატიკზე ჩვეული მსვლელობა მოაწყვეს. პრეზიდენტმა იანუკოვიჩმა მათ უკრაინულად მიმართა. ვიქტორ ფიოდოროვიჩმა აღნიშნა, რომ უკრაინელთა წვლილი ფაშიზმზე გამარჯვების საქმეში განუზომელია და ვეტერანებს მადლობა გადაუხადა.

— კიევში ექსცესების თავიდან აცილება მოხერხდა, — იტყობინება რადიო „თავისუფლება".

მშვიდობა უკრაინაში კრემლს ხელს არ აძლევს. რუსული პრესაც კარგა ხანია ნიშნის მოგებით აღნიშნავდა: უკრაინას ქაოსი და არეულობა მოელის, რაც უკვე ცხრა მაისს გამოჩნდებაო. 6 მაისს კომპარტიის ლიდერმა პეტრო სიმონენკომ განაცხადა, რომ გამარჯვების დღეს კიევში 100-ათასიან აქციას მოაწყობდა. უკრაინელი კომუნისტების მხარდასაჭერად კიევში რუსული ფაშისტური ორგანიზაციების წარმომადგენლებიც ჩავიდნენ. მიუხედავად ამისა, მასობრივი აქცია არ შედგა.

— მიტინგზე სულ ორი ათასამდე ადამიანი შეიკრიბა, — აღნიშნავს რადიო „თავისუფლება".

კომუნისტების ღონისძიებაზე როგორც საბჭოთა, ისე რსფსრ-ს დროშები ფრიალებდა. ამან ხალხი აღაშფოთა. ცეცხლზე ნავთი დაასხა იმანაც, რომ გაისმა ლოზუნგი: „ომი რუსეთმა მოიგო, ხოხოლები კი მუდამ მოღალატენი იყვნენ". ხალხმა დაუპატიჟებელი სტუმრების საცემად გაიწია. მილიციის ჩარევის შედეგად შეტაკება თავიდან იქნა აცილებული.

— სამაგიეროდ, დასავლეთ უკრაინაში მოვლენები ბობოქარი სცენარით განვითარდა, — იტყობინება რადიო „თავისუფლება".

ჯერ კიდევ 4 მაისს პრესაში გამოჩნდა ცნობა, რომ კომუნისტები და სხვა პრორუსული ორგანიზაციები დასავლეთი უკრაინის ტერიტორიაზე პროვოკაციებს გეგმავდნენ. ოლეგ ტიაგნიბოკის ცნობით, „წითლები" აპირებდნენ, ლვოვში ჩაეყვანათ ვეტერანთა ჯგუფი ხარკოვიდან და ყირიმიდან. აქციაში მონაწილეობა რუსეთიდან საგანგებოდ ჩამოსულ ახალგაზრდებსაც უნდა მიეღოთ.

— ეს ღონისძიება რუსეთიდანაა დაფინანსებული! ჩვენი „წითლები", რომლებიც მოსკოვიდან იმართებიან, დასავლეთ უკრაინაში შეტაკებების პროვოცირებას ცდილობენ. მათი მიზანია დასავლეთ-აღმოსავლეთ უკრაინის მცხოვრებლებში შუღლის ჩამოგდება! ვაფრთხილებთ ხელისუფლებას, რათა პროვოკაცია თავიდან იქნეს აცილებული! — აცხადებდა ტიაგნიბოკი.

„სვობოდას" ლიდერის ინფორმაცია დადასტურდა. „წითლების" მიერ მობილიზებული ვეტერანები დასავლეთ უკრაინაში სპეციალური ავტობუსებით ჩაიყვანეს. პრორუსული ორგანიზაციების აქტივისტებისა და რუსეთიდან ჩამოსულ ემისართა თანხლებით მათ მსვლელობა მოაწყვეს. ამ დროს ისინი ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ შეურაცხმყოფელ ლოზუნგებს ისროდნენ, რამაც საპასუხო რეაქცია გამოიწვია. გამოჩნდნენ ენთუზიასტები, რომლებმაც დაუპატიჟებელი სტუმრების ძალით გაძევება მოისურვეს. ლვოვში შეტაკების თავიდან აცილება მოხერხდა, ტერნოპოლში კი საქმე ცემატყეპამდე მივიდა. აღნიშნული კადრები რუსეთის ტელევიზიით რამდენჯერმე გადაიცა.

— ჩვენ ხელისუფლებას ვაფრთხილებდით. მიუხედავად ამისა, პროვოკაციის თავიდან აცილება მან ვერ შეძლო! — განაცხადა ტიაგნიბოკმა.

— ბელორუსიაში 9 მაისის დღესასწაული საბჭოური ტრადიციების საუკეთესო დაცვით ჩატარდა. მოეწყო როგორც სამხედრო აღლუმი, ასევე ვეტერანთა მსვლელობაც. პრეზიდენტმა ლუკაშენკომ მოსახლეობას რუსულ ენაზე მიმართა. ლუკაშენკომ აღნიშნა, რომ დასავლეთში დღესაც არიან ძალები, რომლებიც თურმე ბელორუსის მიმართ შეთქმულებებს აწყობენ. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ იმპერიალისტებს საკადრის პასუხს გასცემდნენ.

— როცა ბელორუსიაში ჩადიხარ, უნებლიეთ გებადება გრძნობა, რომ ამ ქვეყანაში დრო გაჩერდა, — წერს პოლიტოლოგი სერგეი ნაბოჟენკო, — ლენინის ძეგლები, საბჭოური ლოზუნგები, პრეზიდენტიც მოსახლეობას რუსულ ენაზე მიმართავს და ცივი ომის დროინდელ ანტიდასავლურ რიტორიკას იყენებს.

გამარჯვების დღე ყაზახეთშიც აღინიშნა. მართალია, ეს ქვეყანა, ბელორუსის მსგავსად, საბაჟო კავშირის წევრია, მაგრამ აქაურ 9 მაისს საბჭოური ელფერი ნაკლებად დაჰკრავდა. პრეზიდენტმა ნაზარბაევმა მოსახლეობას ფაშიზმზე გამარჯვების დღე მიულოცა და აღნიშნა, რომ ვინც ჰიტლერიზმს ებრძოდა, ყაზახეთსაც იცავდა. საზეიმო ღონისძიებები ჩატარდა როგორც დედაქალაქ ასტანაში, ასევე ალმა-ატასა და სხვა ქალაქებშიც. ფაშიზმზე გამარჯვების დღე აღნიშნეს თურქმენეთში, ყირგიზეთში, უზბეკეთში, ტაჯიკეთში. ყირგიზეთის დედაქალაქ ბიშკეკში მოეწყო როგორც სამხედრო აღლუმი, ასევე ვეტერანთა მსვლელობაც. ცხრა მაისი ჩვენს მეზობელ სომხეთსა და აზერბაიჯანშიც აღნიშნეს.

9 მაისის ზეიმი დამთავრდა. დსთ-ის ქვეყნები ძველ რეალობას დაუბრუნდნენ. სსრკ კარგა ხანია დაინგრა, დსთ-ში შემავალ სახელმწიფოებსაც ერთმანეთისაგან უკვე ბევრი რამ განასხვავებთ. დაიშალა ერთიანი არმია, უშიშროება, აღარ არსებობს ერთიანი სამართლებრივი სივრცე, ფულად-საკრედიტო სისტემა. განსხვავებულია ეკონომიკური მაჩვენებლებიც. ზოგ ქვეყანაში რუსული გავლენა ძლიერია, ზოგან — ნაკლებად, თუმცა ყველას ერთი საერთო პრობლემა აერთიანებს: ხელისუფლებაში კვლავაც საბჭოური ელიტების წარმომადგენლები რჩებიან. ამან დსთ-ის ქვეყნების ბედში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა.

— თანამედროვე სახელმწიფო დესოვეტიზაციის, დეკაგებიზაციისა და დეკრიმინალიზაციის გარეშე ვერ აშენდება! დსთ-ის ქვეყნების ხელისუფლებაში საბჭოური ელიტის ან სუკის კრეატურის ყოფნა კი ამას შეუძლებელს ხდის. შედეგად კლანური რეჟიმები ჩამოყალიბდა, რომლებიც ძირითადად თავიანთი ვიწრო კლანური ინტერესებიდან გამოდიან, — წერს ექსპერტი ტარას ბერეზინეცი, — კლანური რეჟიმები კი არასტაბილურია. ყველაზე მეტად მათ საკუთარი ხალხის ეშინიათ. თუკი მოსახლეობა ქუჩაში გამოვა, მაშველ ძალად ისინი რუსეთს მოიაზრებენ. რევოლუციის შემთხვევაში თავს ძირითადად რუსეთს შეაფარებენ. მოსკოვთან ხიდის საბოლოოდ ჩატეხაც არ სურთ. ამიტომ საბჭოთა ეპოქის ბევრი მითი შენარჩუნდა, მათ შორის 9 მაისიც.

კლანური რეჟიმის პირობებში შეუძლებელია ნამდვილი საბაზრო ეკონომიკის დანერგვა, ჭეშმარიტად დემოკრატიული რეფორმების გატარება ანუ თანამედროვე სახელმწიფოს აშენება. დსთ-ის ქვეყნებშიც გამეფებულია ტოტალური კორუფცია, უკანონობა, სიდუხჭირე. მოხერხდება კი ოდესმე ამის დაძლევა? ალბათ, მოხერხდება, თუმცა საამისოდ, უწინარეს ყოვლისა, საბჭოური მითების დაძლევაა აუცილებელი.

**ნიკა თევზაძე**

## ბერლუსკონის გამამტყუნებელი განაჩენი სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ლი უფლება იტალიაში ნაყიდი ჰქონდა კომპანია „მედიასეტს", რომელიც ბერლუსკონის კუთვნილებაა. ფასის ხელოვნური დაწევის მიზეზს გადასადების გადახდისგან თავის არიდება წარმოადგენდა. განსხვავებული თანხა საზღვარგარეთული ბანკების ანგარიშებზე ირიცხებოდა.

გამოძიების ვერსიით, ბერლუსკონიმ და მისმა პარტნიორებმა ამ გზით უკანონოდ მიითვისეს 34 მილიონი დოლარი, ხოლო „მედიასეტის" ხელმძღვანელობამ ბიუჯეტში გადასახადების სახით 8 მილიონი ევრო არ შეიტანა.

76 წლის პოლიტიკოსი სასამართლოს გადაწყვეტილებას არ ეთანხმება და აცხადებს, რომ ბრალდება პოლიტიკური მოტივებითაა გაჯერებული. ბერლუსკონის ადვოკატის თქმით, პრემიერის ინტერესების დამცველები განაჩენს კვლავ გაასაჩივრებენ, ამჯერად უკვე უმაღლეს საკასაციო სასამართლოში.

იტალიის ყოფილ პრემიერს ამჟამად სხვა ბრალდებებითაც ასამართლებენ. ძიება ამტკიცებს, რომ ბერლუსკონის სექსუალური კავშირი ჰქონდა არასრულწლოვანთან და ასევე, ბოროტად იყენებდა თანამდებობრივ უფლებამოსილებებს. სილვიო ბერლუსკონის წინააღმდეგ ადრეც არაერთხელ აღძრულა საქმე სასამართლოში, თუმცა მისთვის ან გამამართლებელი განაჩენი გამოჰქონდათ, ან საქმე ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო იხურებოდა.

შეგახსენებთ, რომ ბერლუსკონი იტალიის პრემიერ-მინისტრი იყო 1994-95, 2001-06 და 2008-11 წლებში.

ბერლუსკონი იტალიის ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანია, ფლობს სამ იტალიურ ტელეარხს, იტალიის უდიდეს საგამომცემლო სახლს. 1986 წლიდან არის საფეხბურთო კლუბ „მილანის" მფლობელი და პრეზიდენტი.

2012 წლის 26 ოქტომბერს სილვიო ბერლუსკონი ასევე საგადასახადო თაღლითობის გამო გაასამართლეს.

## შაჰ-დენიზის ბუნებრივი აირის საბადოს მარაგი შესაძლოა 1,5 ტრილიონი კუბური მეტრი იყოს

კასპიის ზღვის აზერბაიჯანის სექტორში „შაჰდენიზის" ბუნებრივი აირის საბადოს მარაგი, პირველადი გათვლით, შესაძლოა, 1,5 ტრილიონ კუბომეტრს შეადგენს. სააგენტო „ტრენდის" მიხედვით, აღნიშნულის შესახებ „სოკარის" ვიცე-პრეზიდენტმა ხოშბახტ იუსიფზადემ განაცხადა.

მისი თქმით, ამ მსხვილი საბადოს გახსნას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის გაზის პოტენციალის განვითარებისათვის: „თუ აქამდე არსებული ინფორმაციით, მარაგი 1,2 ტრილიონ კუბომეტრს შეადგენდა, პირველადი გათვლით ეს ციფრი შესაძლოა 1,5 ტრილიონ კუბომეტრამდე გაზარდოს", — აღნიშნავს იუსიფზადე.

შაჰდენიზის ბუნებრივი აირის საბადო მდებარეობს კასპიის ზღვაში ბაქოდან 70 კმ-ში სამხრეთ-აღმოსავლეთით. საბადოდან ბუნებრივი აირი მიეწოდება სანგაჩალის (აზერბაიჯანი) ტერმინალს, საიდანაც მისი შეშვება ხდება სამხრეთ კავკასიურ მილსადენში. სამხრეთ კავკასიური მილსადენიდან საქართველოს გაზმომარაგება ხდება 30 დუიმიანი განშტოებით, რომელიც მდებარეობს გარდაბნის რაიონში (სოფელი ჯანდარა).

## სამგლოვიარო განცხადებები

საქართველოს ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური მწუხარებას გამოთქვამს ლეგენდარული და ყველასთვის საყვარელი მსახიობის

**ოთარ მეღვინეთუხუცესის**

გარდაცვალების გამო

და უსამძიმრებს ოჯახის წევრებსა და სრულიად საქართველოს.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. თიხის ცეცხლგამძლე ლაბორატორიული ჭურჭელი; 2. პატარა სასაუზმე გერმანიაში; 3. გაზაფხულზე ნაპარსი მატყლი; 5. პოლიციელთა მეტსახელი ბრიტანეთში; 6. სოფლის პოლიციელი ძველად; 8. ზღვისპირა კურორტი ესტონეთში; 11. ქართული მონასტერი ბულგარეთში; 13. მქრქალი, გამჭვირვალე ფაიფური; 14. ფრანგი მხატვარი, იმპრესიონიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი; 15. გიგანტური აფრიკული ხე; 19. ესპანეთის კინემატოგრაფისტთა პრემია.

**თარაზულად:** 1. ისტორიული მოედანი ლონდონში; 4. ძველებური ცეცხლსასროლი იარაღი; 7. პაბლო პიკასოს ანტიფაშისტური ფერწერული ტილო; 9. ცხოველთა სადგომი ზოოპარკში; 10. გერმანული ავტომობილი; 12. თანამედროვე მრავალადგილიანი სამგზავრო თვითმფრინავი; 16. ყოველმხრივ უზრუნველი მდიდრული ცხოვრება; 17. იაკობ გოგებაშვილის მშობლიური სოფელი; 18. მდგომარეობა ჭადრაკში; 20. ზოგიერთი მცენარის მიერ გამოყოფილი ტკბილი წვენი; 21. ინფორმაციის რაოდენობის საზომი ერთეული გამოთვლით ტექნიკაში; 22. ნავთობის საბადო კახეთში.

*შედაგინა თ.კოპალეიშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. გობსეკი; 2. საფერავი; 3. კაბელი; 4. საქსი; 5. ჯაბადარი; 8. ვერდიქტი; 12. ჩეხი; 13. არლეკინო; 14. ეგრისი; 16. მანიანი; 18. ჯაყვა; 20. გალო.

**თარაზულად**: 6. ფონოთეკა; 7. ავადჰარა; 8. ვენერა; 9. ტენგე; 10. პასკვილი; 11. კირჩხიბი; 15. არმსტრონგი; 17. ვინიცა; 19. სინგაპური; 21. სინდიყი; 22. კონტრალტო; 23. გოდერძი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. გვარლი; 2. ვალაბი; 3. ნამყო; 5. ორლი; 6. ტრიუმი; 8. ორფოლო; 11. ალპინიადა; 13. შეპარდი; 14. ნეილონი; 15. ჰიმალაი; 19. ტარო.

**თარაზულად**: 1. გლინტვეინი; 4. ვიკონტი; 7. ამსტელი; 9. ყაირათი; 10. აგბი; 12. ტრომბონი; 16. ჩოქბჯენი; 17. ოპუნცია; 18. ალტრუისტი; 20. დესპანი; 21. ჯილა; 22. ოქსფორდი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


11 მაისი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი


აშშ დოლარი — 1,645


ევრო — 2,1594


ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5496


100 რუსული რუბლი — 5,2923

## ამინდის პროგნოზი 11 მაისისთვის





## 25 აპრილიდან „ახალ თაობასთან“ ერთად

მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები

ტომი 2

ჩეხური ზღაპრები




უკვე გამოსულია:

ტომი 1. ამერიკული ზღაპრები

გამოსაცემად მზადდება:

ტომი 3. ბრაზილიური ზღაპრები

ტომი 4. ფრანგული ზღაპრები


# ნიკოლოზ ანდრიაძე — ექიმი, სპორტსმენი, მსოფლიოს ჩემპიონი



მედიცინა და სპორტი განუყოფელი თემები რომ არის, ამის ნათელი მაგალითი მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნიკოლოზ ანდრიაძეა. ფარიკაობაში მსოფლიოს ჩემპიონი ტიტული ახალგაზრდებს შორის 1963 წელს ბელგიაში მოიპოვა. 10 წელია შპს „კარდიო-რეანიმაციული ცენტრის“ დირექტორია.

ამ ინტერვიუს გამოქვეყნებისას ბატონი ნიკოლოზი იტალიაში იქნება, სადაც ევროპის ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას სენიორებს შორის. ეს მისი პირველი ევროპის ჩემპიონატი იქნება 70 წლის ასაკში.

– სამსახური, სპორტი... დღევანდელ დღეს ასეთ რიტმში ახალგაზრდა სპორტსმენები ვერ ყალიბდებიან. თქვენ როგორ უთავსებთ ამ ყველაფერს ერთმანეთს და როგორ ინარჩუნებთ ფორმას?

– ყოველ დილით დავრბივარ, შაბათ-კვირას საცურაო აუზზე დავდივარ და 1 კილომეტრს ვცურავ. გარდა ამისა, კვირაში 3-ჯერ 3 საათით საფარიკაო დარბაზში დავდივარ, სადაც ვიღებ გაკვეთილს ლუდვიგ ღალანიძესთან, რომელიც საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელია რაპირაში და ვეფარიკავები ახალგაზრდა სპორტსმენებს.

– თავად მსოფლიოს ჩემპიონი ხართ ახალგაზრდებში და გაკვეთილებს იქით უნდა აძლევდეთ მათ. ალბათ, თქვენს გამოცდილებასაც ნაყოფიერად იყენებენ.

– მართლაც ძალიან კმაყოფილნი არიან და სურვილი აქვთ, ყოველთვის ჩემთან გამართონ სპარინგები.

– რამდენჯერმე იყავით მსოფლიოს ჩემპიონატებზე ვეტერანებს შორის და ახლა ევროპის ჩემპიონატზე მიემგზავრებით.

– მსოფლიოს ჩემპიონატებზე აღებული მე-5, მე-8 და მე-10 ადგილები 60-დან 70-წლამდე ასაკის სპორტსმენებს შორის. ევროპის ჩემპიონატზე პირველად გამოვდივარ და ამჯერად უკვე ასაკსაც ვიცვლი, რადგან 70 წლის გავხდი და უფროს ასაკში მომიწევს ფარიკაობა.

– აქტიური სპორტის გარდა, თქვენ საკუთარი საფარიკაო კლუბიც გაგაჩნიათ.

– ეს არის ჩემი, მსოფლიოს ჩემპიონ ნიკოლოზ ანდრიაძის სახელობის საფარიკაო კლუბი. ამ კლუბმა ფუნქციონირება 3 წლის დაიწყო 43-ე საჯარო სკოლაში, რომელიც ტიციან ტაბიძის სახელს ატარებს. ეს სკოლა იმიტომ შევარჩიე, რომ ტიციანი ჩემი ბაბუა იყო.

– რა წარმატებები აქვს სადღეისოდ კლუბს?

– ახლახან ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს თითქმის ყველა რეგიონისა და სომხეთის, აზერბაიჯანის, თურქეთის, რუსეთის (ჩრდ. ოსეთი), კუვეიტის წარმომადგენლები, სულ 80-ზე მეტი სპორტსმენი სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში. 1999-2001 წლებში დაბადებულთა შორის ხმალში პირველი ადგილები ნიკა შენგელიამ და ანი აფრასიძემ დაიკავეს. სხვათა შორის, ეს ბავშვები აფხაზეთიდან არიან ლტოლვილები. მე-3-4 ადგილები დაიკავეს მარიამ აფციაურმა და ნინო მსუქნიშვილმა. მარიამი ოლიმპიური ჩემპიონის ვლადიმერ აფციაურის ქალიშვილია და დიდ მომავალსაც უწინასწარმეტყველებენ. ახალი კლუბისთვის ეს უკვე წარმატებაა და მთავარი დამსახურება მწვრთნელ ქეთევან ერემეიშვილს ეკუთვნის. ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ტურნირი აფხაზეთის ფარიკაობის ფედერაციის ორგანიზებით ჩატარდა და მთავარი მსაჯი მისი ვიცე-პრეზიდენტი ზურაბ ლოლუა იყო.

## ასტროპროგნოზი

### 11 მაისი – ეს დღე მშვიდად გაატარეთ

**ვერძი** – ფულს შოულობთ, პრობლემა არ გაწუხებთ. **კურო** – არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **ტყუპები** – ის საქმე აკეთეთ, რაც იცით. **კირჩხიბი** – შემოქმედებითი დღეა, თავს საუკეთესო კუთხით წარმოაჩენთ. **ლომი** – რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **ქალწული** – არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **სასწორი** – ფული გაქვთ, პრობლემაც გეხსნებათ. **სასწორი** – არ აყვეთ სხვებს, თავს მიხედეთ. **ღრიანკალი** – თქვენი სიკეთე თქვენვე დაგიბრუნდებათ. **მშვილდოსანი** – არ გადაიღალოთ, თავს მიხედეთ. **თხის რქა** – ყურადღების ცენტრში ხართ, ყველა შემოგნატრით. **მერწყული** – მთლიანობაში კარგი დღეა, საქმეებს აწესრიგებთ. **თევზები** – დაისვენეთ, გადაღლილი ხართ.

### 12 მაისი – შემოქმედებითი დღეა

**ვერძი** – სახლში დიდი სიხარული გელით, მოემზადეთ. **კურო** – ფული გაქვთ, პრობლემა არ გაწუხებთ. **ტყუპები** – გზიდან ფულსა და საჩუქარს მიიღებთ. **კირჩხიბი** – ნურავის ენდობით, საკუთარი თავის გარდა. **ლომი** – ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **ქალწული** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ქალწული** – არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **სასწორი** – თავს კრიტიკულად შეხედეთ, ასე აჯობებს. **ღრიანკალი** – პრობლემას ადვილად გადაჭრით. **მშვილდოსანი** – გადაიხალისეთ გარდერობი, შეხვედრაზე მიდიხართ. **თხის რქა** – თავს საუკეთესო კუთხით წარმოაჩენთ. **მერწყული** – ყველაფერი გამოგივათ, მთავარია, მოინდომოთ. **თევზები** – ისწავლეთ და იშრომეთ, მეტი გზა არ გაქვთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

# დუდა სანაძე: „ვეცდები, ნაკრებში ადგილი დავიმკვიდრო“



დუდა სანაძე ეროვნული ნაკრების გაფართოებულ შემადგენლობაში მეორედ გამოიძახეს. შარშან სანაძემ 20-წლამდელთა ნაკრებში ასპარეზობა დაასრულა და ეროვნულ ნაკრებთან ფიზმომზადების შეკრება გაიარა. წლეულს კი 20-წლამდელებში თამაში აღარ უწევს, სამაგიეროდ, ის კვლავ გამოიძახეს ეროვნული გუნდის გაფართოებულ შემადგენლობაში და ნაკრებში მოხვედრის ხელახალი შანსი ეძლევა. სანაძემ გასული სეზონი ამერიკაში, სან დიეგოს უნივერსიტეტის გუნდში გაატარა, თუმცა, სტუდენტური ლიგის დებულების შესაბამისად, ოფიციალურ თამაშებში მონაწილეობა არ მიუღია. სანაძემ მთელი სეზონი გუნდთან ვარჯიშსა და ფიზიკური კონდიციების გაუმჯობესებაში გაატარა. მომავალი სეზონიდან ის ამერიკის სტუდენტურ ლიგაში იასპარეზებს, მანამდე კი ეროვნულ ნაკრებში თავის გამოჩენის შანსი ეძლევა.

***– ეროვნული ნაკრების გაფართოებულ შემადგენლობაში ზედიზედ მეორედ გამოძახებას თუ ელოდი?***

– ველოდი, იმიტომ რომ გასულ წელს რომ ვიყავი გამოძახებული, ცუდი შთაბეჭდილება არ დამიტოვებია. მიხარია, რომ ხელმეორედ მეძლევა შანსი, ეროვნული ნაკრების მწვრთნელებს ჩემი შესაძლებლობები ვაჩვენო. მიუხედავად იმისა, რომ გასულ წელს ძირითად გუნდთან ერთად არ მომიხდა ვარჯიში, ნაკრებში ყოფნამ მაინც დიდი თავდაჯერება შემმატა.

***– ამერიკის სტუდენტურ ლიგაში გასულ სეზონში არ გითამაშია.***

– ეს იმიტომ მოხდა, რომ პროფესიულ დონეზე ბევრი მატჩი მქონდა ჩატარებული. მოგეხსენებათ, ამერიკის სტუდენტურ ლიგაში გასამრჯელოს არავინ იღებს და, თუკი მანამდე რომელიმე პროფესიონალურ გუნდში გითამაშია, ამერიკაში ჯარიმის სახით მატჩების გარკვეული რაოდენობის გამოტოვება გიწევს. ჩემს შემთხვევაში ეს ჯარიმა მთელი სეზონი გაგრძელდა. ახალი სასწავლო წლიდან უკვე მექნება თამაშის უფლება. „სან დიეგოს“ მომავალ სეზონში სერიოზული გეგმები აქვს. მწვრთნელს ველაპარაკე და, მისი თქმით, ჩემზე დიდ იმედებს ამყარებენ, რაც მნიშვნელოვანი სტიმულია ჩემთვის.

***– როგორი შედეგით დაასრულა „სან დიეგომ“ გასული სეზონი?***

– მოგეხსენებათ, ამერიკის სტუდენტურ ლიგაში ძალიან ბევრი კონფერენციაა. „სან დიეგო“ დასავლეთ სანაპიროს კონფერენციაში გამოდიოდა, რომელიც 9 გუნდს ითვლის. რეგულარული ჩემპიონატი მე-6 ადგილზე დავასრულეთ, რის შემდეგაც კონფერენციის პლეი ოფში 2 რაუნდი გავიარეთ. ჯერ „პეპედრინს“ მოვუგეთ, შემდეგ „ბრიჰემ იანგს“ და ნახევარფინალში გავედით. ფინალში გასასვლელი მატჩი „სეინთ მერისთან“ დამატებით დროში – 66:69 წავაგეთ. „სეინთ მერის“ უნივერსიტეტი „გონზაგასთან“ ერთად ჩვენი კონფერენციიდან ნცაა-ს ტურნირში მონაწილეობდა. დასამახსოვრებელი მატჩი ვითამაშეთ „გონზაგასთანაც“, რომელიც იმ მომენტისთვის სტუდენტური ლიგის რეიტინგებით პირველი გუნდი იყო მთელი ამერიკის მასშტაბით.

გაგრძელება მე-8 გვერდზე

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. კუნძული მდინარე სენაზე, პარიზის ისტორიული ცენტრი; 2. ქვის ბოძზე დადგმული ხის სახლი დასავლეთ საქართველოში; 3. გარკვეული წესით შედგენილი სამუზეუმო ექსპონატების სია, ჩამონათვალი; 4. ყველაზე დიდი მდინარე იტალიაში; 5. ციხე-სიმაგრე ალგეთის ხეობაში; 6. ქართული სპორტული რადიო; 7. უკრაინის ფეხბურთელთა გუნდი; 10. ტელეფონის გამომგონებელი, შოტლანდიური წარმოშობის ამერიკელი ტექნიკოსი; 11. პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი ძიუდოში; 12. ტბა უნგრეთში; 13. უნგრული ქოფაკი; 16. ფულის ერთეული უკრაინაში; 18. კვერცხიგულიანი ხაჭაპური; 19. საოჯახო ნივთების შესანახი, სახურავიანი ხის ყუთი; 21. იტალიელი მწერალი, კინოსცენარისტი; 24. ლათინოამერიკული სამეჯლისო ცეკვა.



**თარაზულად:** 1. ქალის სასიმღერო ხმა; 3. მაღალზურგიანი დივანი; 8. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 9. მკაცრი აკრძალვა; 14. მცენარეთა სამყარო; 15. სამხედრო-საზღვაო პოლიგონი საქართველოში; 17. ქართული სპორტული გაზეთი; 20. შეიარაღებული მცველი, დარაჯი; 22. ფაიფურის წარმოების ცენტრი საფრანგეთში; 23. სახელმწიფო არაბეთის ნახევარკუნძულზე; 25. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკური კულტურა; 26. დენის სიმძლავრის საზომი ერთეული; 27. ერთ-ერთი კონტინენტი; 28. „ფორმულა-1“-ში მონაწილე ავტომრბოლელთა გუნდი.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**

# ბერლუსკონის გამამტყუნებელი განაჩენი სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა

მილანის სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა სილვიო ბერლუსკონისთვის გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი, რაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს იტალიის ყოფილი პრემიერის ბრალეულობას გადასახადების გადახდისგან თავის არიდების საქმეში. სასამართლო პროცესის შესახებ ინფორმაციას ბი-ბი-სი ავრცელებს.

სასამართლომ დაადასტურა, რომ ბერლუსკონი 4 წლით თავისუფლების აღკვეთას იმსახურებს, თუმცა მისი ასაკის გამო, ციხეში გასატარებელ ვადად 1 წელი დაასახელა. გარდა ამისა, მას 5 წლის განმავლობაში ეკრძალება სახელმწიფო თანამდებობის დაკავება. იტალიის ყოფილი პრემიერი დამნაშავედ ცნეს ამერიკული ფილმების ჩვენების უფლების ფასის ხელოვნურ დაწევაში. აღნიშნუ-

გაგრძელება მე-11 გვერდზე

ლურჯი წითელი ყვითელი შავი